გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№86 (842) 28-29 აგვისტო, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

2007 წლის არჩევნების გაყალბებიდან IPN-ის გამოკითხვის შედეგების გაყალბებამდე

რა კავშირი აქვს ნინო ბურჯანაძეს ორ ქართულ საიტზე მიმდინარე გამოკითხვების გაუქმებასთან

გვ. 3

სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილის ბრალდებებს პასუხობს

გვ. 2

„ჩემი განეიტრალება არც ისე ადვილია“

აკაკი ასათიანი:

„მეორე ტური აუცილებლად დაინიშნება! არჩევნების მერე კი ახალი, აღტერნატიული ძალა ჩამოყალიბდება“

გვ. 4

ნაციონალი აკაკი ბობოხიძე გიორგი მარგველაშვილისთვის ხმებს აგროვებს!

„ჩვენი პარტიის მთავარი პრობლემა ისაა, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტია!“

გვ. 7

SOS! — თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის მოქალაქეები ნაღმზე სხედან?!

გვ. 3

შპს „ჩარკვი“ გაზიფიცირებას წყლის მიღებით ახორციელებს!

მხოლოდ 40 თვითრი

სპეციალური რეპორტაჟი გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბიდან

რა პრეტენზიები აქვთ რეგიონებიდან ჩამოსულ აქტივისტებს „ოცნების“ აღმოსავლეთ საქართველოს კოორდინატორთან

გვ. 8

გია ნაცვლიშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე მერიის დაკავებული მაღალჩინოსნების სკანდალს უკავშირდება?

რას წარმოადგენს შპს „არტესი“ და რა პროექტებს ახორციელებდა ქვეყნის მასშტაბით?

გვ. 5

საკუთრების იძულებით ჩამორთმევის შემზარავი ფაქტები

როგორ წაართვეს პანტიკო თორდიას „თბილავიამშენი“, შალვა ოგბაიძეს — ავტოდრომი და დავით ზოდელავას — მინის ნაკვეთი სიღნაღში

გვ. 6

„მედიის კონტროლის მიმართულებით ტენდენცია ხელისუფლებაში მართლაც შეინიშნება“

გვ. 9

სურსათის ეროვნული საგენტო სკანდალური სტატისტიკა

გვ. 10

დაიხურება თუ არა „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარე ე.წ. გვირაბი

„ბიძინა ივანიშვილისგან მსგავსი შეფასება გამიკვირდა!“

ერუსუდან შელია
557-100-768

საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებას რამდენიმე დღეში გეგმავს. თუ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა, აცხადებს, რომ ხელისუფლების მიერ მისი დაბლოკვის სურვილი ნათელი გახდება, თუმცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადების შეტანამდე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა სურს. რატომ გამორიცხავს არჩევნებში ნინო ბურჯანაძის გამარჯვებას და როგორ პასუხობს ბიძინა ივანიშვილის ბრალდებებს, „ვერსიას“ სალომე ზურაბიშვილი ესაუბრა.

— ჩემს მიმართ ხელოვნურად ატეხილი მითქმა-მოთქმა წინასაარჩევნო უფლებების დარღვევაა. მუდმივად იმეორებენ, თითქოს ჩემს წინააღმდეგ იურიდიული შეზღუდვები არსებობს. სინამდვილეში, მსგავსი ჩანაწერები კონსტიტუციაში არ მოიპოვება. რეალურად, ჩემი მხარდამჭერები გაურკვევლობაში შეჰყავთ — ვარ თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატი და მაქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება? ცუდია ისიც, რომ ჩემს მიმართ ხელისუფლება შევარდნაძის მსგავს „მზრუნველობას“ იჩენს: „ჩვენ ძალიან გვინდა, მაგრამ...“ „ჩვენ გვსურს, მაგრამ...“ არავინ იღებს პასუხისმგებლობას სამართლიანი არჩევნების ჩატარებასა და ქვეყნის კონსტიტუციის დაცვაზე, ანუ საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ დაწესებული მოთხოვნების შესრულებაზე, რომლებსაც თავისუფლად ვაკმაყოფილებ. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, ამის შესახებ სამართლის საერთაშორისო ექსპერტებმა და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც ისაუბრეს.

— **ხელისუფლების მაღალჩინოსნები ხაზგასმით აცხადებენ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები თუ არ შევა, საპრეზიდენტო კანდიდატი ვერ გახდებით.**

— თუ საბოლოოდ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მომეცა, ქვეყანაში დემოკრატიის არსებობაზე საუბარი აბსურდი გახდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქე იყოს და მე, პოლიტიკური ემიგრაციის შთამომავალს, რომლის სამართალმემკვიდრეც დღევანდელი ქართული სახელმწიფოა, ორმაგი მოქალაქეობის მქონეს, საპრეზიდენტო კანდიდატობაც კი არ შემეძლოს, არა მგონია, ეს ვინმეს ნორმალურად ეჩვენებოდეს! თუ მართლაც არ მომეცემა კანდიდატად რეგისტრაციის საშუალება, ნათელი გახდება, რომ ხელისუფლებას ჩემი დაბლოკვის სურვილი აქვს, რადგან ერთი მხრივ, თავიანთი კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების იმედი არ აქვთ და ამავე დროს, პირდაპირ ცდილობენ, ბურჯანაძეს მეორე ადგილის დაკავების საშუალება ხელოვნურად შეუქმნან.

— **ხელისუფლებას ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლა რატომ აწყობს? სხვათა შორის, უკვე საკმაოდ ხშირად ისმის, რომ შესაძლოა, არჩევნებში ნინო ბურჯანაძემ გაიმარჯვოს, რადგან ბიძინა ივანიშვილსა და ბურჯანაძეს შორის ფარული შეთანხმება დაიდო. თქვენ უშვებთ მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების ალბათობას?**

— ძალიან გამიკვირდა, როცა უმრავლესობამ საპრეზიდენტოდ აირჩია კანდიდატი, რომელსაც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამოცდილება არ აქვს და არც საზოგადოება იცნობს. თუ გიორგი მარგველაშვილი პიროვნულად კარგი ადამიანია და მას პრემიერი ემეგობრება, ეს იმას ნიშნავს, რომ მარგველაშვილი ავტომატურად კარგი სახელმწიფო მოღვაწე იქნება? მიკვირს ისიც, რომ მარგველაშვილის ძლიერ მხარედ ივანიშვილის გვერდით დგომა დასახელდა, თუმცა მისი კანდიდატურის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში პრემიერმა განაცხადა, რომ პოლიტიკიდან მიდის, ანუ მასზე სრულად დამოკიდებულ შესაძლო პრეზიდენტს სიცარიელეში ტოვებს. ასევე მიკვირს, რომ უმრავლესობის კანდიდატი ძლიერ საარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს. ბურჯანაძისა და პრემიერის შესაძლო გარიგებაზე კი, ვერაფერს გეტყვით. ვიცი, რომ ბურჯანაძე წინასაარჩევნოდ დიდ ფულს ხარჯავს, პარტიულ ორგანიზაციებს ხსნის და ხალხს ატყუებს. „ოცნებიდან“ მისი პარტიის სასარგებლოდ ხალხის გადინების ხმებიც მომდის, რაც გადაჭარბებული მგონია, თუმცა არ მჯერა, რომ საქართველოში საზოგადოება ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს უჭერს. ყველა არჩევნებზე არის ადამიანი, რომელიც ყიდულობს ამომრჩეველს, მაგრამ საზოგადოების ძირითადი ღირსეული ნაწილის გადაწყვეტილებაზე ეს არასოდეს მოქმედებს. ნუ დავიჯერებთ, რომ საქართველოს ყიდვა შეიძლება. თუ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მომეცემა, დიახ, „ოცნების“ პოლიტიკური უმოქმედობა ბურჯანაძის წისქვილზე დაასხამს წყალს, მაგრამ მაინც მჯერა, რომ ბურჯანაძეს ქვეყანა არ აირჩევს. ღმერთმა არ ქნას, დადასტურდეს ხმები, რომ „ოცნება“ ქვეყნის სათავეში არადემოკრატიული და რუსული წარსულის ძალებისთვის გზის გასახსნელად მოვიდა! ამ შემთხვევაში „ოცნებას“ მომავალი არ ექნება.

— **ჩანს, ნინო ბურჯანაძის მიმართ ძველი წყენა არ გაგინელდათ.**

— როცა საქმე ქვეყნის მომავალს ეხება, პიროვნული დამოკიდებულება მნიშვნელოვანი არ არის. პოლიტიკაში საკითხის პიროვნულ ჭრილში გადატანა საბჭოთა მიდგომად მიმაჩნია. ბურჯანაძესთან პიროვნული დაპირისპირება არასოდეს მქონია, თუმცა მან საგარეო საქმეთა ახალდანიშნულ მინისტრს პარლამენტიდან თავდასხმები და დაბეზღებები დამიწყო. ვფიქრობ, ის პიროვნულად არ მებრძოდა, უბრალოდ, მისი აღზრდისა და შეგნების პოლიტიკოსისთვის მიუღებელი იყო ჩემი დიპლომატია, პოლიტიკა და სახელმწიფოებრივი მიდგომა. მაშინაც ნინოსთან ერთად მებრძოდა ძველი შევარდნაძისეული კლანი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საკმაოდ ძლიერად იყო პარლამენტში წარმოდგენილი. დღესაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ იგივე შეხედულებები მოქმედებს. გასაგებია, რომ ისეთი პოლიტიკოსებისთვის, როგორიც ნინო ბურჯანაძეა, ძალაუფლება, ფინანსური გავლენა ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე მნიშვნელოვანია. ასეთი პოლიტიკა შევარდნაძისგან მოდის და ევროპული და ეროვნული პოლიტიკისთვის უცხოა. ამიტომ ჩვენი მიდგომა განსხვავებულია — ერთ მხარეს არის ძალაუფლებისთვის ბრძოლა და მეორე მხარეს საქართველოზე ზრუნვა. კიდევ ერთი მაგალითი გავიხსენოთ: როცა ნინო მოსკოვში ჩავიდა, როგორც ოპოზიციურ ფიგურას ქვეყნისთვის არაფრის მიღწევა შეეძლო, მაგრამ პუტინისგან პოლიტიკური აღიარება მიიღო და, შესაძლოა, სამომავლო მხარდაჭერის პირობაც! ჩათვალა, რომ მისი პიროვნული წარმატება ღირდა ქვეყნის ინტერესების შელახვად და არსებული მდგომარეობის აღიარებად! როგორც ვიცი, მისი მრჩეველი იყო გიორგი მარგველაშვილი... ამიტომ არ მიკვირს, რომ დღეს მათი შეხედულებები ჩემი „არაგუნდურობის“ შესახებ არ განსხვავდება. ასეთი პოლიტიკის დრო მალე დასრულდება.

— **გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიას ლაიტმოტივად 27 ოქტომბრის შემდეგ საქართველოში კოჰაბიტაციის დასრულება გასდევს. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაციის დასრულება?**

— ერთ რამეში ვეთანხმები მარგველაშვილს, „კოჰაბიტაცია“ 27 ოქტომბერს მართლაც დასრულდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ მარგველაშვილი „ფხიანი“ და „პრინციპული“ პრეზიდენტი იქნება და რამეს დაასრულებს, არამედ იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში 40%-ს ვეღარ მიიღებს. ამით და ივანიშვილის წასვლით პოლიტიკიდან, საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება. ვფიქრობ, რომ ბურჯანაძე დღეს უფრო მეორე ადგილის დასაკავებლად იბრძვის. ვთქვათ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მართლაც დაინიშნა და ნაცმოძრაობას ნინო ბურჯანაძის პარტია ჩაანაცვლებს, რომელიც საზოგადოებაში მხარდაჭერის მოპოვებას პოლიტიკური დემაგოგიით ცდილობს. თუ ამ პირობებში ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, ეს იქნება დამანგრეველი ქვეყნისთვის, რადგან ჯერ არაფერი გაკეთებულა ახალი პოლიტიკური ძალების ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ დემოკრატიის განმტკიცების ნაცვლად, ივანიშვილი ქართულ პოლიტიკასა და ამომრჩეველს წარსული ძალების მძევლად დატოვებს.

— **საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა, კოალიციიდან ირაკლი ალასანია გამოვიდეს და საპრეზიდენტო კანდიდატად იყაროს კენჭი. სწორი იქნება ეს ნაბიჯი და შეცვლის თუ არა ის პოლიტიკურ რეალობას?**

— ალბათ, ირაკლი ამას ვერ გააკეთებს... იყო დრო, როცა ირაკლი ალასანიასგან მსგავსი ნაბიჯი სწორი და, შესაძლოა, წარმატებულიც იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკას, პირველ რიგში, დროის შეგრძნება და ინტუიცია სჭირდება. დასანანი კი ის არის, რომ ეს კანდიდატი, რომელიც საპრეზიდენტო თანამდებობას მართლაც შეეფერება, საპრეზიდენტო შეჯიბრს მიუღებელი ფორმით, ნაადრევად ჩამოაშორეს.

— **რაც შეეხება თქვენი მისამართით გაჟღერებულ ბიძინა ივანიშვილის ბრალდებებს, რისთვისაც პასუხი ჯერ არ გაგიცია — როგორ ფიქრობთ, რატომ არ დაუჭირა მხარი კოალიციამ თქვენს მერად დანიშვნასა და შემდეგ საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებას?**

— დანიშვნას არც ერთ და არც მეორე თანამდებობაზე არ მოვითხოვდი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კარგად მესმის, ორივე არჩევითი თანამდებობაა. საპრეზიდენტო კანდიდატად ჩემს წარდგენაზე პრემიერთან მართლაც ვისაუბრე, რადგან მიმაჩნია, რომ ქვეყნისთვის დღეს უკეთესი იქნება, თუ ერთპარტიულ სისტემას აღარ დავუბრუნდებით. მიმაჩნდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ საპრეზიდენტო კანდიდატს თავისი პარტიული რიგებიდან „ოცნება“ არ წარადგენდა და დამოუკიდებელ პიროვნებას დაუჭერდა მხარს. ამ მიმართულებით ჩემი გამოცდილება და წარსული ბევრად მიწყობდა ხელს, ვიდრე სხვა ნებისმიერ პარტიულ კანდიდატს, ამიტომ იმის მიუხედავად, რომ პრემიერმა არ დაუჭირა მხარი ჩემს კანდიდატურას, მაინც მივიღე გადაწყვეტილება, უარი მეთქვა მერობის გავლენიან და დიდბიუჯეტიან თანამდებობაზე და მარტო საზოგადოების მხარდაჭერის გათვალისწინებით მიმეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. ვიცი ისიც, რომ ჩემი კანდიდატურის მიმართ „ოცნებაში“ არ იყო დიდი განხილვები. რაც მოიმიზეზა პრემიერმა, ვითომ არაგუნდური ვარ, ის შეხედულებაა, რომელსაც შევარდნაძის კლანი მაბრალებდა მინისტრობისას, მაგრამ ბიძინა ივანიშვილისგან მსგავსი შეფასება მართლაც გამიკვირდა. გასაკვირია ისიც, თუ მერობაზე არსებობდა ჩემი კანდიდატურის მიმართ ნდობა, სადაც მილიარდიანი ბიუჯეტი, ქალაქის მთავრობა და საკრებულოა, რატომ არ არსებობდა პრეზიდენტობაზე, რომელიც ნაკლები უფლებებით იქნება აღჭურვილი?!

— **ანუ პრემიერის მსგავსი განცხადება პოლიტიკურად თქვენი განეიტრალების მცდელობა იყო?**

— ნამდვილად ვერ შევაფასებ პრემიერის ნათქვამს ან მის მიზანშეწონილობას. შემიძლია ვთქვა, რომ ურთიერთობაში ყოველთვის ღია და პირდაპირი ვიყავი... ჯერ კიდევ მჯერა, რომ ეს ხელისუფლება საქართველოს ოცი წლის მახინჯი პოლიტიკური რეჟიმიდან გამოიყვანს და საღ საწყისებზე დაფუძნებულ ახალ ინსტიტუტებს ჩამოაყალიბებს, თუმცა პროცესები ისე მიდის, დარწმუნებული ვარ, თუ დამოუკიდებელი და ძლიერი პრეზიდენტი არ გვეყოლება, საქართველოს უკუსვლა და ძველი სისტემის გაცოცხლება ემუქრება; იყო თუ არა ეს ჩემი განეიტრალების მცდელობა, არ ვიცი, მაგრამ იმას გეტყვით, რომ ჩემი განეიტრალება არც ისე ადვილია! არ ვიცი, შეიძლება ამიტომ დაიწყო სხვა ეტაპი და მედავებიან ჩემს საარჩევნო უფლებაზე. განაცხადს რამდენიმე დღეში შევიტან და მაშინ გავიგებთ, რა ხდება ქვეყანაში — რამდენად თავისუფალი არჩევნების ჩატარებას გეგმავს ხელისუფლება!

ვერსიანიუსი

ქართველმა სამხედროებმა, შესაძლოა, გაერო-ს ეგიდით სამშვიდობო ოპერაციებში მიიღონ მონაწილეობა

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ შეხვედრა გამართეს გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილესთან სამშვიდობო ოპერაციების დარგში ედმონდ მულეტთან.

განხილვის მთავარი თემა გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების სტატუსი და ამ ოპერაციებში ქართველი სამხედროების ჩართვა იყო.

„გაერო-ს წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული იყო დაინტერესება, რომ ქართული ქვედანაყოფები, თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩაერთონ გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი მისიის ხელმძღვანელობა გაერო-ში უკვე დეტალურად განიხილავს მისიის დეტალებს“, — განაცხადა გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ.

როგორც შეხვედრაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, ქართული მხარე შესაძლებლობას განიხილავს დამკვირვებლის სტატუსითა და ასეულით გაეროს, ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა აუცილებელია ქართველი სამხედროების შესაბამისი გადამზადება და აღჭურვა. ამ მიზნით, ქართული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს კონსულტაციები დაიწყოს გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტთან.

ქართულ ქვედანაყოფებს გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა 2005-2007 წლებში ქართული ბატალიონი აშშ-ის სარდლობის დაქვემდებარებაში, ერაყში გაერო-ს მხარდამჭერ მისიაში იყო ჩართული. 550 ქართველი სამხედრო ბაღდადში გაეროს შტაბ-ბინას იცავდა.

„ინტერპრესნიუსი“

2007 წლის არჩევნების გაყალბებიდან IPN-ის გამოკითხვის შედეგების გაყალბებამდე

ნინო გვაზავა

რა კავშირი აქვს ნინო ბურჯანაძეს ორ ქართულ საიტზე მიმდინარე გამოკითხვების გაუქმებასთან

წინასაარჩევნო მარათონი საქართველოსთვის ჩვეულ რიტმში მიმდინარეობს — კანდიდატების ნაწილი დღესაც არ ამბობს უარს წესების გარეშე ბრძოლაზე. როცა „მიზანი ასეთი დიადია“, პოლიტიკურ ბატალიებში ჩართულები ყველაფერზე წამსვლელებიც არიან და ხელსაც, როგორც ჩანს, ყველაფერზე ანერენ — მათ შორის, თუ საშუალება ეძლევათ, წინასაარჩევნო გამოკითხვების გაყალბებაზეც. ეს გასაკვირი არცაა, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ახლახან ჩატარებული კვლევების შედეგები ბევრი კანდიდატისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. მაგალითად, ნაციონალების კანდიდატ ბაქრაძისთვის, რომელმაც საკვლევ-საკონსულტუციო ცენტრ „ფსიქოპროექტის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად (კვლევა, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, 1-დან 8 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა. გამოკითხვაში მონაწილეობდა საქართველოს 11 რეგიონის, 2 028 სრულწლოვანი რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით), გამოკითხულთა მხოლოდ 9% მისცემდა ხმას; ბაქრაძეს ჩამორჩება, მისი ყოფილი თანაგუნდელი ნინო ბურჯანაძე, რომელსაც ხმას გამოკითხულთა მხოლოდ 7% მისცემდა; შალვა ნათელაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა 4%-ია, სხვა კანდიდატებისა კი უფრო ნაკლები.

სამაგიეროდ, კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს აქვს საქმე კარგად — კვლევის თანახმად, მას გამოკითხულთა 53% მისცემდა ხმას. ეს მაჩვენებელი, „ფსიქოპროექტის“ დირექტორს, ზურაბ ბიგვავას აძლევს საშუალებას, გააკეთოს პროგნოზი, რომ მარგველაშვილი, არჩევნების პირველივე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და არავითარი მეორე ტური არ იქნება. ამაში თავად მარგველაშვილიც დარწმუნებულია და აცხადებს: „კვლევის შედეგად მიღებული 53%, ახლადდაწყებული საარჩევნო კამპანიის პირობებში მიღებული რეიტინგია. ბუნებრივია, ჩვენთვის ეს მხოლოდ დასაწყისია და ბევრად მაღალი მაჩვენებლით ვაპირებთ გასვლას 27 ოქტომბრის არჩევნებში“.

აზრს, რომ 27 ოქტომბრის არჩევნებში მარგველაშვილი გაიმარჯვებს, მხოლოდ ბიგვავა არ ავითარებს. იმავე ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 65% დარწმუნებულია გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებაში, ბაქრაძის გამარჯვებისა მხოლოდ 7%-ს სჯერა, 4%-ს კი მიაჩნია, რომ არჩევნებში ბურჯანაძე გაიმარჯვებს.

პოლიტიკურ კულუარებში დიდი ხანია საუბრობენ, ნაციონალები შეგუებულები არიან, რომ მათი კანდიდატი პრეზიდენტი ვერ გახდება. მათი მთავარი მიზანი ახლა მხოლოდ ისაა, ნინო ბურჯანაძე რაიმე მაქინაციებით, მეორე ადგილზე არ გავიდესო... მაგრამ ვინ, ვინ და ნაციონალებმა კარგად იციან, რომ თუ დასჭირდა, ბურჯანაძე ყველა ხრიკს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად ისე, როგორც ეს გააკეთა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნაციონალების გვერდით იყო და ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ თუ სხვა მოვლენაზე აწერდა ხელს — მათ შორის არჩევნების გაყალბებაზე. ბურჯანაძე არ იყო, აქციებითა და პოლიტიკური ბატალიებით დახუნძლულ 2007 წელს, დიდ პოლიტიკურ ბლეფში ერთ-ერთ მთავარ პერსონად რომ მოგვევლინა? — იგი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა მანამ, სანამ 2008 წლის 5 იანვრის გაყალბებული არჩევნებით, ქვეყნის პირველი პირის სავარძელი კვლავ სააკაშვილს არ დაუთმო. ფაქტობრივად, ქალბატონი ბურჯანაძე ამ არჩევნების გაყალბების მონაწილეც იყო და შეიძლება ითქვას, მანვე „გაუპრავა“ სააკაშვილს ხელახალი პრეზიდენტობა.

გაყალბებაზე ხელი ბურჯანაძეს ამჯერადაც წაუცდა. ოღონდ, ჯერ გამოკითხვის შედეგების გაყალბებით დაიწყო — 26 აგვისტოს, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსისა“ და „ამბები.გე“-ს საიტებზე დაიწყო ინტერნეტგამოკითხვა: ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას? „ინტერპრესნიუსზე“ 8802 ხმის დაფიქსირების შემდეგ, შედეგები ასეთი იყო: დავით ბაქრაძე — 16,4%, ნინო ბურჯანაძე — 41,5%, კობა დავითაშვილი — 1,8%, გიორგი თარგამაძე — 1,1%, გიორგი მარგველაშვილი — 34,5%, სხვა — 4,7%.

„ამბები.გე“-ზე 1252 ხმის დაფიქსირების შემდეგ კი — ასეთი: დავით ბაქრაძე — 29,2%; ნინო ბურჯანაძე — 17,8%; კობა დავითაშვილი — 3,4%; გიორგი თარგამაძე — 1,5%; გიორგი მარგველაშვილი — 38,3%, სხვა — 10%.

როგორც ჩანს, ჯერ „ფსიქოპროექტის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებისა და შემდეგ ამ საიტებზე მიმდინარე გამოკითხვების ცქერას კანდიდატი ქალბატონის გულმა ვეღარ გაუძლო — გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ინტერნეტსივრცეში მაინც აეხვია თვალი ამომრჩევლისთვის და დაეფიქსირებინა, თითქოს თავადაა ერთადერთი უალტერნატივო ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებზე. ონლაინსივრცეში გამოკითხვის გაყალბება, ჩანს, ბურჯანაძეს არ გაუჭირდა — მისი ხმების რაოდენობა, ღამის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში საეჭვოდ მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, 3341 შეფასებიდან მაჩვენებელი ელვის სისწრაფით ჯერ 3377-ზე, შემდეგ კი 3492-ზე ავიდა. მომხდარის გამო, მედიასახლის IT სამსახურის რეკომენდაციით, გამოკითხვა ორივე საიტზე გაუქმდა, კანდიდატ ბურჯანაძეს კი, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — ინტერნეტსივრცეში მისი გაყალბებული სახარბიელო მაჩვენებელი აღარ დევს. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევების შედეგები კი მისთვის ნაკლებად სასურველია ისევე, როგორც მარგველაშვილის სხვა კონკურენტებისთვის.



მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის მოსახლეობა საფრთხეშია! შპს „ჩარკვმა“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის დახმარებით, გააყალბა მონაცემები და მოსახლეობის გაზიფიცირებას პოლიეთილენის მილების საშუალებით ახორციელებს. არადა, ეს მილები მხოლოდ ცივი და ცხელი წყლისთვისაა განკუთვნილი და მასში ბუნებრივი აირის გატარება მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის!

SOS! — თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის მოქალაქეები ნაღმზე სხედან?!

შპს „ჩარკვი“ გაზიფიცირებას წყლის მიღებით ახორციელებს!

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ მჟავანაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შპს „ჩარკვი“ თურქული კომპანია „ტიგსფირატის“ პოლიეთილენის მილების იმპორტს ახორციელებს. მეტიც, კომპანია სწორედ ამ მილების საშუალებით ახდენს მოსახლეობის გაზიფიცირებას, რაც ასეულობით ათას ადამიანს დიდ საფრთხეს უქმნის:

„სხვათა შორის, თურქული კომპანიის საიტზე მითითებულია, რომ აღნიშნული პოლიეთილენის მილები მხოლოდ ცივი და ცხელი წყლისთვისაა განკუთვნილი და მისი გამოყენება გაზიფიცირების პროცესში ყოვლად დაუშვებელია. არადა, დაახლოებით 300 000 ოჯახის გაზიფიცირება სწორედ ამ პოლიეთილენის მილებით განახორციელეს. ჩვენი ინფორმაციით, თბილისის გარდა, რუსთავსა და ქუთაისშიც გაზი ამ მილების საშუალებით გაჰყავთ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა საფრთხე ექმნებათ მოქალაქეებს? ჩათვალეთ, რომ ისინი ნაღმზე სხედან, რომელიც როდის აფეთქდება, არავინ იცის! ყველაზე ცუდი ის არის, რომ „ტიგსფირატის“ მილების გარანტია მხოლოდ და მხოლოდ 12 თვეა!“

ნიკოლოზ მჟავანაძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურში თურქული კომპანია „ტიგსფირატის“ ტექნიკური მონაცემები შეგნებულად გაყალბდა, რის საფუძველზეც, შპს „ჩარკვს“ საშუალება მიეცა, პოლიეთილენის მილები გაზიფიცირების პროცესში გამოეყენებინა. ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, ასეთი ქმედებით, დიდი ოდენობით თანხაც დაიზოგა, რადგან თუკი ერთი სართულის გაზიფიცირებას ჩვეულებრივი, ლითონის მილებით 300 ლარი სჭირდება, პოლიეთილენის მილებით მხოლოდ 60 ლარიც საკმარისია.

„უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ მთავარ პროკურატურას უკვე მიმართა და შედეგად, „ყაზტრანსგაზის“ ხელმძღვანელი ანა თაქთაქიშვილი, რომელიც ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, ჩიორა თაქთაქიშვილის ნათესავია, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. თუმცა ეს საკმარისი არ არის, რადგან ნოკოლოზ მჟავანაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ აუცილებელია, ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, შპს „ჩარკვის“ ხელმძღვანელებისა და „ყაზტრანსგაზის“ იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს, რომელთა დაუდევრობის შედეგად, თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის მოქალაქეები სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან.

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ექსპერტმა, გიორგი ნიკოლაიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ თურქული კომპანია „ტიგსფირატის“ მილების გაზიფიცირების პროცესში გამოყენება აკრძალულია როგორც საქართველოს, ასევე დსთ-სა და ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით! გიორგი ნიკოლაიშვილის თქმით, შპს „ჩარკვმა“, ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა და „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებმა ეკონომიკის ექსმინისტრის, ვერა ქობალიას ბრძანებაც დაარღვიეს, რომლითაც ამ მილების გაზიფიცირებაში გამოყენება იკრძალება. გიორგი ნიკოლაიშვილი იმასაც ამბობს, რომ თურქულ კომპანია „ტიგსფირატს“ ხარისხის დამადასტურებელი ISO სერტიფიკატი არ გააჩნია!

„ვერსია“ „ყაზტრანსგაზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ეკა სარიას** დაუკავშირდა, რომელმაც „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელის, ნიკოლოზ მჟავანაძის ბრალდებას აბსრუდული უწოდა:

„ჩვენ ვიყენებთ მილებს, რომლებსაც აწერია, რომ სპეციალურად გაზისთვისაა დამზადებული. გარდა ამისა, კომპანიას, რომელიც ამ მილებს ამზადებს, ISO სერტიფიკატი გააჩნია, ხოლო შპს „ჩარკვს“ ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის დასკვნა აქვს და სტანდარტებსაც იცავს. არ მესმის, რა საშიშროებაზე საუბრობენ, რადგან 6-7 წელია, ამ მილებს ვიყენებთ და არავითარი დაზიანება არ მომხდარა. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, მობრძანდეს ჩვენთან და ვაჩვენებთ, რა ტიპის მილებს ვიყენებთ, ესაა ოთხშრიანი მილი, რომელიც ალუმინითაა დამზადებული და სულაც არ არის პოლიეთილენის, როგორც ამას „უფლებადამცველთა გაერთიანება“ აცხადებს და რის გამოც საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს“.

„მეორე ტური აუცილებლად დაინიშნება! არჩევნების მერე კი ახალი, ალტერნატიული ძალა ჩამოყალიბდება“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი, რომელიც რამდენიმე დღის წინ საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა, საცხოვრებელი სახლიდან კერძო იპოთეკარებმა გამოასახლეს. ცალკე მევალეები, ცალკე 40-მდე კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებზე — მოკლედ, ამომრჩეველსაც და თავად ასათიანსაც წინ საინტერესო 2 თვე ელის. რა პრეტენზიებს უყენებს მმართველ გუნს, რა ეჭვები აქვს წინასაარჩევნოდ და რა პოლიტიკურ გადალაგებას წინასწარმეტყველებს ოქტომბრის შემდეგ — „ვერსიის“ რესპონდენტი პრეზიდენტობის მსურველი აკაკი ასათიანია.

— როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, ორიგინალურ მდგომარეობაში ხართ — ამ დღეებში სახლიდან გამოგასახლეს. რა ხდება თქვენს თავს რეალურად?

— ვერ ვიტყვი, რომ ორიგინალურ მდგომარეობაში ვარ, რადგან ათასობით ადამიანია ჩემს დღეში. ჩემმა შემთხვევამ, უბრალოდ, მეტი ყურადღება მიიქცია. არ მინდა, ვინმეს თავი შევაცოდო, მაგრამ მეც მსხვერპლი ვარ! 2008 წლის მერე პრობლემები განსაკუთრებით გამირთულდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვალებს არ გავისტუმრებ — აუცილებლად გავისტუმრებ! ხალხის ნაწილთან მოლაპარაკებებიც მიდის.

— ამ მდგომარეობამდე როგორ მიხვედით?

— ბევრი არაფერი მომხდარა — გაქვს ბანკის ვალი, გინდა მისი გასტუმრება, იღებ ამისთვის კრედიტს, მაგრამ საქმე ისე არ გამოგდის და ეს ვალი გროვდება. შემდეგ ჩემი სახლი ბანკის მფლობელობაში გადავიდა და ის პოლიციის თანდასწრებით დავცალეთ.

— მოვლენების მაინცდამაინც ახლა განვითარებას, თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატობას არ უკავშირებთ?

— ამ ადამიანების დიდი ნაწილი, ვისთანაც ეს პრობლემა მაქვს, წესიერად იქცევა — თავადაც ვალები აქვთ და ესმით ჩემი მდგომარეობა. ერთი-ორი ადამიანი კი ცოტა საეჭვოდ მოქმედებს, ან უბრალოდ არ ესმით, რომ პრობლემის მოგვარებას ხელი უნდა შეუწყონ და არა შეუშალონ. ნამეტანს თუ იაქტიურებენ, ეს საქციელი უკვე სხვა რამის მანიშნებელი იქნება და არც ის დაიმალება, საიდან!

> **ერთ კვირაში ყველაფერი ნათელი გახდება. ახლა ველოდები, რა სახეს მიიღებს და რეალურად, რას ემსახურება ზოგიერთის მცდელობა — მთავარია, მევალეები გავისტუმრო თუ არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატი არ ვიყო.**

— თქვენც რაღა ახლა გააქტიურდით, საარჩევნო მოვლენებისგან დიდხნიანი შესვენების შემდეგ?

— ძველქართულად გარდაცვლილს ნიშნავს „შესვენებული“... პრინციპში, ასეც იყო და ვერც გააქტიურების აზრს ვხედავდი.

— ახლა 40-ზე მეტ კანდიდატთან ერთად მონაწილეობაში, რამე აზრი დაინახეთ?

— იყვნენ მერე, რა პრობლემაა. სხვა დროსაც გვყოლია ბევრი კანდიდატი, სხვა თემაა, მათგან რამდენი მოაგროვებს ხელმოწერებს და გაივლის რეგისტრაციას. რაც მთავარია, ეს პირველი არჩევნებია, სადაც წინასწარ და 100%-ით არ ვიცით გამარჯვებულის ვინაობა.

— აბა, გიორგი მარგველაშვილი ვინაა, თუ არა წინასწარ-გამარჯვებული?

— ასე არაა და სიტუაცია მეორე ტურისკენ მიდის. სულ ცოტა, 50/50-ზეა, რომ მეორე ტური გაიმართება და ეს უკვე საინტერესოა. აქამდე მეორე ადგილიც ცნობილი იყო ხოლმე და მესამეც, ახლა კი არ ვიცით. მეორე ტური თუ დაინიშნა, მეორე ადგილზე გასულმა, შეიძლება, არჩევნები მოიგოს, რადგან ხმები როგორ გადალაგდება, არავინ იცის. ერთადერთი, ნაციონალების კანდიდატს ექნება პრობლემა, რადგან მისი ნაციონალობის გამო ყველა მის წინააღმდეგ წავა.

— ნაციონალობის გამო მას კონკრეტული ამომრჩეველი ეყოლება და ხმებს არავინ გაუყოფს, ყველა დანარჩენი კი „ოცნების“ კანდიდატის ხმის გამყოფია.

— ჰო, მაგრამ ეს კონკრეტული ამომრჩეველი ცოტაა, ვითარება კი ასეთია — მეორე ტურში გასვლის შანსი, მეტ-ნაკლებად, სამ კანდიდატს აქვს.

— და თქვენ არ ხართ მათ შორის — რა არის თქვენი ინტერესი ამ არჩევნებზე?

— არჩევნების მოგება. მე მაქვს ყველასგან განსხვავებული პროგრამა და კურსი — ნეიტრალიტეტი. ქვეყანა ჩიხშია, საიდანაც ვერაფრით გამოდის. ნეიტრალიტეტი კი საშუალებას იძლევა, ოსებთან, აფხაზებთან, რუსებთან ვილაპარაკოთ და ხელს რუსები ვეღარ შეგვიშლიან. აბა, საზღვარი არ გვაქვს, შიდატერიტორიული მოწყობა არ ვიცით, სახელმწიფო წყობა არ ვიცით, თვითმმართველობა არ გვაქვს, გამოცდებზე მასწავლებლები იჭრებიან...

— ყველა ეს პრობლემა, თავისი დაპირებებით, კანდიდატმა მარგველაშვილმა მოიცვა, თქვენ ახალს რას ამბობთ?

— მაქვს კონკრეტული პასუხები — ერთადერთი გამოსავალი ნაციონალიზაციაა. გასხვისებული მიწები უნდა დავიბრუნოთ და ქართველებზე გადავანაწილოთ, სახელმწიფომაც უნდა დაიბრუნოს სტრატეგიული ობიექტები.

— რა ადვილი სათქმელია, ძალიან ზოგადი და თან ბიძინა ივანიშვილის კურსი თქვენგან დიდად განსხვავებული არ არის.

— არ არის, მაგრამ ამას პირდაპირ თქმა და მერე განხორციელება უნდა. ივანიშვილმა ის მაინც თქვა, უნდა წავიდეო და რომ წავა, ვერავინ ეტყვის, მოგვატყუეო, თუმცა ერთი წელი რომ ტყუილად დაიკარგა, ესეც ფაქტია. ამიტომაც დავასახელე თავი კანდიდატად! ვინმე ამბობს რამე კონკრეტულს, ალტერნატიულსა და განსხვავებულს?! ან

> **ახალმა ხელისუფლებამ რატომ არ მიიღო დაპირებული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ესეც ეკონომიკა ხომ არ არის, წლები შევალიოთ? რატომ იქმნება საკონსტიტუციო კომისია საპრეზიდენტო არჩევნების მერე?! ხელისუფლებისგან რეალურ ნაბიჯებს ვერ ვხედავ, მარტო ნაცებს ეკამათებიან — შენ ასეთი და ისეთი იყავიო. ახლა, ვითომ, ეს სააკაშვილიც ხელს უშლის და რაში, ვერ გავიგე. კაცი მშვენივრად მიდის პოსტიდან და ეს კარგია. 28 ოქტომბერს რომ აღარ იქნება სააკაშვილი პრეზიდენტი, მერე რას უპასუხებს „ოცნება“ ამ კითხვებზე?**

— ამ დროს ძალიან ამბიციურად ჟღერს თქვენი განაცხადი, რომ ერთადერთ კონკურენტად მარგველაშვილს მიიჩნევთ. რატომ ფიქრობთ, რომ ნინო ბურჯანაძის, დავით ბაქრაძისა და კობა დავითაშვილის მსგავსი შანსი მაინც გაქვთ?

— მიმაჩნია, რომ მარგველაშვილის გარდა, დანარჩენებს შორის შანსები თანაბარია და შედეგი თავად კანდიდატების მუშაობაზეა დამოკიდებული. საწყისი პოზიცია სხვებს უკეთესი აქვთ — ზოგს ფინანსური, ზოგს კომისიაში ჰყავს წარმომადგენელი, „ოცნებას“ კომისიის წევრი ჰყავს და ფინანსური მდგომარეობაც უკეთესი აქვს, დანარჩენებს სახელმწიფო დაფინანსება აქვთ, უფასო რეკლამა მედიაში... არ მესმის, სახელმწიფოს არ შეუძლია, კანდიდატების თანაბარ პირობებში შეჯიბრი უზრუნველყოს? ესაა რეალური პრობლემა, თორემ მარგველაშვილი რომ დასახელდა, შეთქმულების ათასნაირი თეორია დაიდო და ეს ყველაფერი სისულელედ მიმაჩნია. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაცებს დაბრუნებას აღარავინ შეეხვეწება, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების მერე უთუოდ ახალი, ალტერნატიული ძალა ჩამოყალიბდება!

— და ვინ ჩამოაყალიბებს ამ ძალას?

— კოალიცია ნებისმიერ შემთხვევაში დაიშლება და ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, გაისად ამას ვერ ავცდებით! თუმცა ეს კარგი ამბავია, ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში გადავალთ და ვერც ეს პარლამენტი აღუდგება ხალხის საყოველთაო მოთხოვნას წინ, მეტიც, თუ ჭკუა ეყოფა, თვითონ დაასწრებს და ვადამდელ არჩევნებს ჩაატარებს.

— არჩევნების მერე რა გადანაწილება წავა ძალთა შორის და თქვენი ადგილი თუ იქნება ამ გადანაწილებაში?

— ჩვენი ადგილი ნამდვილად იქნება და დაწყებულ ბოლომდე ვიაქტიურებთ — საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მონაწილეობას ადგილობრივ და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებშიც მივიღებთ, რომლის ჩატარებაც თითქმის გარანტირებულია — ძალიან სერიოზულ გუნდს ვაყალიბებთ და სერიოზულ ადგილსაც დავიკავებთ!

— ფინანსები გაქვთ?

— ხალხამდე იდეები დაფინანსებას კი არა, მოძრაობას მიაქვს — აქ ბენზინის ფულზეა ლაპარაკი. „პლაკატი“ და ფლაერი სულ 10 000 ლარი ჯდება, მეტი არა.

— ისე, მითს, რომ ასათიანი ტყუილად არსად არასდროს ჩნდება, ვერ მოიშორებთ — ახლაც რამე შეთქმულაბში ხომ არ მონაწილეობთ ან ამ საარჩევნოდ „ფულის გასაკეთებლად“ ხომ არ გააქტიურდით?

— ფული როგორ უნდა გავაკეთო, თუ ვინმე ამიხსნის, კარგი იქნება. არ დაიჯეროთ, რომ ახლა ვინმე ფულს მოგცემს შეკვრაგარიგებაში. საერთოდ, ამ არჩევნებში დიდი ფული არც იტრიალებს და სახელმწიფო დაფინანსებას არ ასცდება.

28 აგვისტოს მხოლოდ თევზით ხსნილდება

28 აგვისტოს, მარიამობას მხოლოდ თევზით ხსნილდება. როგორც საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაშია აღნიშნული, ეს დღესასწაული ოთხშაბათს ემთხვევა, რის გამოც მხოლოდ თევზით ხსნილდება. ამასთან, ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა მოქმედ ტაძარში საზეიმო მსახურება აღესრულება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წირვა-ლოცვას სიონის საკათედრო ტაძარში აღავლენს.

„ინტერპრესნიუსი“

იუსტიციის სამინისტრო საარჩევნო სიის ფორმირებაზე მუშაობს

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქე ახალ მისამართზე 10 ოქტომბრის ჩათვლით დარეგისტრირების შემთხვევაში პირადობის ახალ მოწმობას უფასოდ მიიღებს. როგორც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, აღნიშნული პირები ასევე გათავისუფლდებიან რეგისტრაციის წესის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმისგან და საარჩევნო სიაში შევლენ.

თეა წულუკიანის განმარტებით, ამ აქციას იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ები სერვისების განვითარების სააგენტო და იუსტიციის სახლი განახორციელებენ:

„აქციის მიზანია, საქართველოს ჰქონდეს ზუსტი საარჩევნო სია და აგრეთვე, საბოლოოდ დაესვას წერტილი არჩევნებში რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების თემით სპეკულირებას. ამ პირების ვინაობას წინა ხელისუფლება ხშირად იყენებდა სხვადასხვა მისამართზე მისაწერად. აქციის შედეგად კი, დადგინდება, რეალურად არსებობენ თუ არა ე.წ რეგისტრაციიდან მოხსნილი პირები და მათი რეგისტრაცია მოხდება თავიდან, ახალი მისამართის მიხედვით“.

იუსტიციის მინისტრის თქმით, მოქალაქემ შესაძლოა არ იცოდეს, რომ მოხსნილია რეგისტრაციიდან, რისი გადამოწმებაც ნებისმიერ პირს შეუძლია სერვისების განვითარების სააგენტოსა (სდა.გოვ.გე) და იუსტიიის სახლის (ჰოუსე.გოვ.გე) ვებგვერდებზე; ასევე, სკყპე-მისამართზე (სდა.გე) და ტელეფონის ნომერზე — 240 10 10.

თეა წულუკიანის ინფორმაციით, სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციიდან მოხსნილია 98 000-მდე პირი, რომელთაც ამ აქციით სარგებლობა შეუძლიათ.

ახალ მისამართზე რეგისტრაციის მსურველებს განაცხადის წარდგენა სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებსა და იუსტიციის სახლებში შეუძლიათ.

„ინტერპრესნიუსი“

ქალთა №5 დაწესებულებაში მყოფი 28 მსჯავრდებული მარიამობას სახლში შეხვდება

მარიამობას 28 მსჯავრდებული ქალი, რომელიც სასჯელს №5 ქალთა დაწესებულებაში იხდის, სახლში შეხვდება, — ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ავრცელებს.

ბესელია 5 დაწესებულებაში სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძესა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, კომისიის წევრები 5 დაწესებულებაში 28 მსჯავრდებულ ქალს გაესაუბრნენ და ყველას მოთხოვნა, ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ, დააკმაყოფილეს.

27 აგვისტოსვე, მუდმივმოქმედი კომისიის წევრები სხვადასხვა დაწესებულებაში მყოფ 80 მსჯავრდებულ მამაკაცსაც შეხვდებიან და გადაწყვეტენ, რამდენი მათგანი დატოვებს 28 აგვისტოსთვის საპატიმროს.

„ინტერპრესნიუსი“

გია ნაცვლიშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე მერიის დაკავებული მაღალჩინოსნების სკანდალს უკავშირდება?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რას წარმოადგენს შპს „არტესი“ და რა პროექტებს ახორციელებდა ქვეყნის მასშტაბით?

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, 24 აგვისტოს, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების თაღლითურად მისაკუთრებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, შპს „არტესისა“ და AVANTE HOSPITAL MANAGMENT GROUP-ის დამფუძნებელი ზაზა კაპანაძე, პასუხისგებაში მისცეს. 26 აგვისტოს გამართულ სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულ გია ნაცვლიშვილს 200 000-ლარიანი გირაო შეუფარდეს. უკავშირდება თუ არა შპს „არტესის“ საქმე რამდენიმე თვის წინ, მერიის მაღალჩინოსნების სკანდალურად დაკავების ფაქტს? რას წარმოადგენს შპს „არტესი“ და კონკრეტულად, რა პროექტებზე მუშაობდა საქართველოში?

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ შპს „არტესმა“, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ დაკვეთით, თბილისში, 2009 წლიდან 2012 წლის ბოლომდე, საბიუჯეტო დაფინანსებით კალაუბნის, აღმაშენებლის გამზირის, მარჯანიშვილის ქუჩისა და ზაარბრუკენის მოედნის სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები შეასრულა. შპს „არტესის“ დამფუძნებელმა ზაზა კაპანაძემ, ამავე საწარმოს არაოფიციალურ დამფუძნებელ გია ნაცვლიშვილთან ერთად, „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ იმჟამინდელი ხელმძღვანელის, სერგო ქავთარაძის დახმარებით, საბიუჯეტო თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, ამ სამუშაოების ღირებულება ფიქტიურად გაზარდეს, რითაც ისინი თაღლითურად დაეუფლნენ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილ — 4 052 108 ლარს.

გია ნაცვლიშვილმა და ზაზა კაპანაძემ, დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი თანხების ლეგალიზების მიზნით, შპს „არტესიდან“, დივიდენდის სახით, გაიტანეს თანხა, რაც მათ მიერვე დაფუძნებულ, შპს AVANTE HOSPITAL MANAGMENT GROUP-ში ჩარიცხეს. აღნიშნული თანხით კი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებისგან, თბილისში ორი სამშობიარო სახლი, ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი და ბათუმის სამშობიარო სახლი, ასევე პედიატრიის ინსტიტუტის ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოები შეიძინეს, რითაც უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზება განახორციელეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 180-ე მუხლის მესამე ნაწილით აწარმოებს, რაც სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

ყოფილი დეპუტატი გია ნაცვლიშვილი, ბრალდებას აბსურდულს უწოდებს და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს. ნაცვლიშვილის ადვოკატი, მამუკა ჭაბაშვილი აცხადებს, რომ შპს „არტესი“ არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ატარებდა სამშენებლო სამუშაოებს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ადვოკატმა **მამუკა ჭაბაშვილმა** აღნიშნა, რომ „არტესის“ დამფუძნებლებს შორის, რომლებსაც გამოძიება ედავება, გია ნაცვლიშვილსაც ასახელებენ, რომელიც შპს-ს დამფუძნებელი არ არის:

„გია ნაცვლიშვილი შპს „არტესის“ კონსულტანტის ფუნქციას ასრულებდა და სამშენებლო სამუშაოებს მონიტორინგს უწევდა. გამოძიება ბრალდებულებს ედავება, თითქოს კომპანიის მომსახურების ფასები დამფუძნებლებმა ხელოვნურად გაზარდეს, რითაც სახელმწიფოს კუთვნილი თანხები მიითვისეს. ეს აბსურდია და ამას სასამართლოში დავასაბუთებთ“.

ჭაბაშვილის თქმით, გამოძიების მტკიცებით, თბილისის განვითარების ფონდსა და შპს „არტესს“ შორის, „ფულის გათეთრების“ მიზნით, შეთანხმება არსებობდა, მაგრამ ადვოკატმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არსებობს: **„მარტივად რომ ვთქვათ, ბრალდებულებს ედავებიან, რატომ მიიღეს მოგება. კომპანიის საქმიანობისას, ხან ზარალი ფიქსირდება, ხან — მოგება. კომპანიის წარმომადგენლები ამა თუ იმ მომსახურებას კი ზოგჯერ ნაკლებ ფასად, ზოგჯერ უფრო ძვირადაც სთავაზობდნენ და ამაში გასაკვირი არაფერია. არ მესმის, რატომ უნდა ჩაითვალოს ეს ქმედება დანაშაულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოგება კომპანიამ ლეგალურად მიიღო, რაც იბეგრებოდა კიდეც“.**

მართალია, „არტესში“ მუშაობის პარალელურად, გარკვეული დროის განმავლობაში, გია ნაცვლიშვილი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო, მაგრამ ადვოკატის მტკიცებით, ამით კანონი არ დარღვეულა. მამუკა ჭაბაშვილმა განმარტა, რომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობა, საჯარო მოხელეობას არ ნიშნავს. შესაბამისად, კანონი არ კრძალავდა, რომ გია ნაცვლიშვილს ბიზნესშიც გაეგრძელებინა საქმიანობა, რადგან ეს მისი დეპუტატობის, ან თუნდაც გუბერნატორად მუშაობის პერიოდში არ მომხდარა.

გამოძიების ბრალდების აბსურდულობა გარკვეულ ეჭვს იწვევს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შეუძლებელია, კომპანიის დამფუძნებელს ბრალი იმ მოტივით წაუყენო, თუ რატომ იღებდა მოგებას ან რატომ სთავაზობდა მომსახურებას ამა თუ იმ ფასად. როგორც წესი, წარმატებული კომპანია მოგებაზე ხშირად გადის, რაც შეეხება მომსახურების ფასს, ამას ბაზარი განსაზღვრავს და არა გამომძიებელი, ბრალმდებელი ან მოსამართლე. აქედან გამომდინარე, ლოგიკური ეჭვი ჩნდება, შპს „არტესის“ საქმე რამდენიმე თვის წინ, მერიის მაღალჩინოსნების ხმაურიანი და სკანდალური დაკავების გაგრძელება ხომ არ არის? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ მერიის მაღალჩინოსნების სკანდალურ საქმეშიც თბილისის განვითარების ფონდი და ამ ფონდიდან გაფლანგული თანხები ფიგურირებს: **„მე იმ საქმის დეტალები არ ვიცი, ამიტომაც მიჭირს დაზუსტებით გითხრათ, უკავშირდება თუ არა ეს ორი საქმე ერთმანეთს. თუმცა გამორიცხული არაფერია, დასკვნა თავად გააკეთეთ“,** — განუცხადა „ვერსიას“ მამუკა ჭაბაშვილმა.

რაც შეეხება „არტესის“ მიერ შეძენილ საავადმყოფოებს, მამუკა ჭაბაშვილის თქმით, კომპანიამ თბილისსა და ბათუმში რამდენიმე საავადმყოფო მართლაც შეიძინა: **„4 000 000 ლარზე მეტი მოგება რომ მიიღეთ, ეს თანხა გაათეთრეთო, ამას გვედავება ბრალდება, რაც აბსურდია. როგორც წესი, „შავ“ ფულს „ათეთრებენ“ ხოლმე. ეს თანხა კი კომპანიამ დივიდენდის სახით მიიღო და ამას „გათეთრება“ რაში სჭირდება? გარდა ამისა, სხვა ფულიც იყო დახარჯული, მაგალითად, საბანკო კრედიტები და სწორედ ამ თანხით შეიძინეს საავადმყოფოები. რა შუაშია აქ ფულის „გათეთრება“, „არტესს“ ეს თანხა ნაღდი ფულის სახით ექნებოდა ანგარიშზე, თუ საავადმყოფოს შეიძენდა, ამით რამე იცვლება? მაგალითად, ბათუმის საავამდყოფოს 6 000 000 ლარის ინვესტიცია დასჭირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დივიდენდის სახით მიღებული მოგებიდან არ შეუძენიათ. გამოძიების აბსურდულობას ყველა ხედავს, ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ“.**

„ვერსია“ დაინტერესდა, რას წარმოადგენს შპს „არტესი“ და მარჯანიშვილის გამზირის ან კალაუბნის გარდა, კიდევ რა პროექტებს ახორციელებდა საქართველოში? სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე ერთ საინტერესო ინფორმაციას გადავაწყდით: 2012 წელს, შპს „არტესი“ სააგენტომ „თეთრ სიაში“ შეიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია სახელმწიფო ტენდერების უპირობოდ გაიმარჯვებდა. რეალურად, სხვა კრიტერიუმების გარდა, „თეთრი სიის“ ხიბლიც სწორედ ეს არის.

შპს „არტესი“-ს განხორციელებული და მიმდინარე პროექტებია: ქუთაისის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია; ბორჯომში, 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია; ახალციხეში, რაბათის ისტორიული ძეგლის რეაბილიტაცია; თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; თბილისში, კალაუბნის რეაბილიტაცია; თბილისში, ზაარბრუკენის მოედნის რეაბილიტაცია; მცხეთაში, მუნიციპალიტეტისა და სამხარეო ადმინისტრაციის შენობის რეაბილიტაცია.

„არტესმა“ 50 პროექტი დაასრულა, მათ შორის, ახალციხის ციხის, ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის, ცენტრალური რკინიგზის საავადმყოფოს, ბორჯომის ცენტრალური პარკის, მცხეთის ისტორიული უბნების, ღმაშენებლის გამზირის, ასევე სიღნაღში, ეგრეთ წოდებული ბებრების ბაღის და ბორჯომის ბალნეოლოგიური სანატორიუმის რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, 2009-2010 წლებში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3 850 000 ლარი გამოუყვეს, რაც თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე საცურაო კომპლექსის — „ოლიმპიკის“ სრული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა. სამშენებლო სამუშაოები კი შპს „არტესმა“ განახორციელა.

ვერსიანიუსი

მიხეილ სააკაშვილი: „პუტინის მოთხოვნით, ბიძინა ივანიშვილს ჩემი დაპატიმრება სურს!“

„პუტინს უნდა, ან მკვდარი მნახოს ან — დაპატიმრებული“, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა Bloomberg საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ინტერვიუს. საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს მოუწოდებს, დაეხმაროს ბრძოლაში, რომელსაც საქართველოზე რუსეთის მზარდ გავლენას უწოდებს. სააკაშვილი აცხადებს, რომ პუტინის მოთხოვნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს კორუფციული ბრალდებით სურს მისი დაპატიმრება: **„რუსული გარიგება აშკარა იყო. რუსებს უნდათ, რომ მომკლან ან დამაპატიმრონ. აი, რა თქვა პუტინმა“**. სააკაშვილის განცხადებას კი უარყოფს პუტინის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი. **„2008 წლის ომის დროს პუტინი სააკაშვილის „გენიტალიებით ჩამოკიდვით“ დაემუქრა და მასთან კონტაქტზე უარი განაცხადა. გასული წლის 20 დეკემბერს პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მიესალმება საქართველოდან წამოსულ „პოზიტიურ სიგნალებს“,** — აღნიშნავენ სტატიის ავტორები და რუსეთის პრემიერის, დიმიტრი მედვედევის კომენტარი მოჰყვათ: **„ივანიშვილის გამარჯვება პარლამენტში უფრო მეტად კონსტრუქციული და პასუხისმგებლობის მქონე ძალების ყოფნას ნიშნავს“.**

სტატიაში ნათქვამია, რომ კავკასიის რეგიონი, რომელიც რუსეთს თურქეთისა და ირანისგან ყოფს, ბოლო 20 წლის განმავლობაში ფეთქებადსაშიში ზონა იყო: **„საქართველოში შექმნილმა ვითარებამ, შესაძლოა, დაძაბულობა გამოიწვიოს რუსეთსა და აშშ-ს შორის, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა სირიის ომისა და რუსეთის მიერ ედვარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემის გამო, რამაც პრეზიდენტი ბარაკ ობამა აიძულა, გაეუქმებინა პუტინთან სექტემბერში დაგეგმილი შეხვედრა“.**

„რეგიონში კონკურენცია არსებობს. თუ ჩვენ საქართველოს საკმარის ყურადღებას არ მივაქცევთ, შესაძლოა, რუსები მოვიდნენ და წაგვართვან ის“, — აცხადებს სააკაშვილი. იმავე „ბლუმბერგთან“ საუბრისას, გასულ კვირას, საქართველოს პრემიერმა ივანიშვილმა კი არ გამორიცხა კორუფციის ბრალდებით სააკაშვილის დაკავებაც, რითაც უკუაგდო აშშ-ს გაფრთხილება, არ გამოეყენებინა სასამართლო პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის: **„გამოძიებამ უნდა დაადგინოს და სასამართლომ უნდა დაადასტუროს მისი ბრალეულობა, მაგრამ არსებობს კითხვები მასთან მიმართებაში“.**

„ივანიშვილი, რომელმაც ქონების უმეტესი ნაწილი რუსეთში დააგროვა, აცხადებს, რომ რუსეთში თავისი ბოლო აქტივები 2011-2012 წლებში 1,3 მილიარდ დოლარად გაყიდა და ახლა მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ტრადიციული ურთიერთობების აღდგენა უნდა. „ბლუმბერგის“ მილიარდერთა ინდექსის თანახმად, ივანიშვილის ქონება 6,4 მილიარდს შეადგენს, რაც საქართველოს ეკონომიკის 40%-ს უდრის“, — აღნიშნავენ სტატიის ავტორები და ივანიშვილის კომენტარს ციტირებენ, რომელიც დარწმუნებულია, რომ რუსეთთან შესაძლებელია ურთიერთგაგების მიღწევა და მეზობლობაში თანაცხოვრება.

„რაც ივანიშვილი ხელისუფლებაშია, ის არც ვაშინგტონში მიუწვევიათ და არც დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში. საქართველოს არც ერთ ლიდერს არ აქვს უფლება, ქვეყნის იზოლაცია მოხდინოს“, — ციტირებს „ბლუმბერგი“ სააკაშვილის კომენტარს. სტატიის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ გასული წლის არჩევნებში სააკაშვილის პარტიის მოულოდნელმა მარცხმა და ათობით ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრებამ ქვეყანაში პოლიტიკური გაურკვევლობა გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო ინვესტიციების შემცირებას: **„დასავლურმა ინვესტიციებმა უკან გადინება იწყო, ივანიშვილის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქართული ბაზარი ღიაა რუსული ინვესტიციებისთვის“.** სტატიის ავტორები ასევე ციტირებენ კარნეგის ცენტრის ექსპერტის, კავკასიის მკვლევარის თომას დე ვაალის კომენტარს, რომელიც აცხადებს, რომ ვაშინგტონში უმრავლესობა მიესალმება საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობას, რადგან ეს ნაწილობრივ მაინც შეამცირებს თავის ტკივილს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში.

„ინტერპრესნიუსი“

საკუთრების იძულებით ჩამორთმევის შემზარავი ფაქტები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მთავარ პროკურატურას იმ საქმეებს ახსენებს, რაც საკუთრების იძულებით ჩამორთმევის ფაქტებს ეხება. ორგანიზაციამ დოკუმენტური ფილმი მოამზადა, სადაც დაზარალებული მეწარმეები ყვებიან, როგორ „აჩუქეს“ კუთვნილი ქონება სახელმწიფოს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვების შემდეგ, დაზარალებულ მეწარმეებს იმედი მიეცათ, რომ შანტაჟითა და მუქარით ჩამორთმეულ ქონებას დაიბრუნებდნენ, მთავარ პროკურატურას განცხადებითაც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

როგორ წაართვეს პანტიკო თორდიას „თბილავიამშენი“, შალვა ოგბაიძეს — ავტოდრომი და დავით ზოდელავას — მიწის ნაკვეთი სილნაღში

„თბილავიამშენის“ წარმომადგენელი კახაბერ ჟღენტი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ მომზადებულ დოკუმენტურ ფილმში დეტალურად იხსენებს, როგორ წაართვა თავდაცვის სამინისტრომ „თბილავიამშენი“ ქარხნის მფლობელს, პანტიკო თორდიას: **„ეკონომიკის მინისტრმა, კახა ბენდუქიძემ „თბილავიამშენის“ პრივატიზება გადაწყვიტა. სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს და პრივატიზებაში მონაწილეობა მივიღეთ. საპრივატიზაციო თანხად 67 000 000 ლარი განსაზღვრეს, რაც უპრეცედენტოდ დიდი იყო, დღევანდელი მდგომარეობითაც კი. საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, 67 000 000 ლარად, შპს „თბილავიამშენი“ ჩვენ გადმოგვეცა მართვაში. თანხის გადასახდელად ერთი წელი განსაზღვრეს, 2005 წლის დეკემბერში დავასრულეთ გადახდა და 2006 წლის 6 იანვარს, სახელმწიფომ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გადმოგვცა. ქონება საჯარო რეესტრშიც აღვრიცხეთ, ქარხნის საკუთრებაში იყო 57 ჰექტარი საწარმოს ზოლში და 217 ჰექტარი — საცდელ-საგამოცდო სადგურზე, რაც ჩვენი აეროდრომის ტერიტორიაა. 2010 წლის იანვრიდან ჩვენზე ზეწოლა დაიწყო, 1 იანვარს, მთავარი აქციონერი და გენერალური დირექტორი, პანტიკო თორდია შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურში დაიბარეს. დაემუქრნენ, რომ თუ არ ითანამშრომლებდა, დარჩენილ წლებს ციხეში გაატარებდა“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბარება და მუქარა დაახლოებით, 7 თვე გაგრძელდა. 2010 წლის ივნისში, „თბილავიამშენში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შედის და ქარხნიდან ფინანსური დოკუმენტაცია გააქვს. კახაბერ ჟღენტი იხსენებს, რომ ამის შემდეგ, პანტიკო თორდიას უკვე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში იბარებენ დაკითხვაზე. 5-საათიანი დაკითხვის მანძილზე, „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორს აიძულებდნენ, ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომლითაც ქარხანა სახელმწიფოსთვის უნდა ეჩუქებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაუყენებდნენ ბრალს, რომ სახელმწიფოს შეცდომაში შეყვანის მიზნით, „თბილავიამშენი“ თაღლითურად მიითვისა:

„მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ პანტიკო თორდიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ ყოფილა. ფაქტობრივად, ეს იყო შანტაჟი, რომლითაც „თბილავიამშენის“ დირექტორი აიძულეს, ქარხანა დაეთმო. თავიდანვე ვიცოდით, რომ ქარხანა თავდაცვის სამინისტროს უნდა გადასცემოდა საკუთრებაში და როდესაც „თბილავიამშენში“ თავდაცვის მაშინდელი მინისტრი, ბაჩო ახალაია მოვიდა, გაოცებულმა თქვა, მეგონა, განადგურებულ და გაჩანაგებულ ქარხანას ვნახავდი, აქ კი თანამედროვე და წარმატებული საწარმო დამხვდაო. მერე პანტიკო თორდიას უთხრა, ცუდია, რომ აქამდე არ გიცნობდით, მაგრამ რაც მოხდა, მოხდაო. შპს „თბილავიამშენს“, ჩემი ჩათვლით, სამი პარტნიორი ჰყავდა, რომლებიც 100%-იან წილს ვფლობდით. კარგად მახსოვს, კვირა დღე იყო და ეკონომიკის სამინისტროში დაგვიბარეს, სადაც იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარე, ამავე დეპარტამენტის თანამშრომელი, ნოტარიუსი და სამხედრო პოლიციის უფროსი დაგვხვდნენ. გვითხრეს, რომ საკითხი უკვე შეთანხმებულია, ამიტომ ეს ქონება სახელმწიფოს უნდა აჩუქოთო. კვირა დღეს, ნოტარიუსმა შეადგინა პარტნიორთა კრების ოქმი, რომელზეც ხელი მოგვაწერინეს. იმავე დღესა და იმავე კაბინეტში, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებაც მოამზადეს, რასაც ხელი მოვაწერეთ და „თბილავიამშენი“ თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში გადავიდა“.

კახაბერ ჟღენტი ამბობს, რომ „თბილავიამშენი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებაშია. ქარხნის მფლობელებს იმედი აქვთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, ამ საქმეს მარტივად მოიგებენ და მათი კანონიერი უფლებები აღდგება.

ამავე დოკუმენტურ ფილმში, ავტოინჟინერი, დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს წარმომადგენელი შალვა ოგბაიძე იხსენებს, როგორ წაართვა სახელმწიფომ მისი კუთვნილი ქონება — რუსთავის ყოფილი ავტოდრომი და რატომ აიძულეს დაეტოვებინა საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი: **„რუსთავის ყოფილი ავტოდრომი „დოსაააფი“, პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით გადმოგვეცა საკუთრებაში. სხვათა შორის, პროცესი გაიწელა, რადგან სააკაშვილის ამ განკარგულების შემდეგ, რამდენიმე კვირაში, ვანო მერაბიშვილმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. ვანო მერაბიშვილი მისაბუთებდა, რა კარგი იქნებოდა, თუკი ხელს ავიღებდი ამ განზრახვაზე და ჩემს საკუთრებაში არსებული ავტოდრომი ჯერ არაშენებული მომსახურების სააგენტოს შემადგენელი ნაწილი გახდებოდა, სადაც მოცალეობის ჟამს, საღამოს 5 საათის შემდეგ, ნებისმიერი შეჯიბრის ჩატარებას შევძლებდით. 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, ხელისუფლება შეშინებული ჩანდა და ავტოდრომი საკუთრებაში გადმოგვცეს, მაგრამ „დაბრუნების პროცესმაც“ არ დაახანა. დამიბარეს და პირდაპირ მითხრეს, დამეთმო როგორც ავტოდრომი, ასევე საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიც, რაზეც უარი ვუთხარი. დამემუქრნენ, რომ ჩემი ოჯახის თვალთვალი და პოლიტიკური ნიშნით დევნა დაიწყებოდა, რომ ჩემი ოჯახის ვერც ერთი წევრი ვერ გაიხარებდა. რა თქმა უნდა, საავტომობილო ფედერაციას ჩამომაშორეს, მაგრამ მიუხედავად გადადგომისა, ფედერაციაში საგადასახადო შემოწმება ჩაატარეს, რომლის დროსაც, თითქოს 2 000 000 ლარის „გარღვევა“ აღმოაჩინეს. საავტომობილო ფედერაციის ახალ პრეზიდენტს კი დააწერინეს წერილი, რომ ქონებას სახელმწიფოს დაუბრუნებდა. ეს ქონება აუქციონზე გაყიდეს და დღეს ავტოდრომს უკვე ახალი მფლობელი ჰყავს. პრეტენზია ამ პიროვნებასთან კი არა, სახელმწიფოსთან მაქვს, რომელმაც საავტომობილო ფედერაციის ახლადდანიშნულ პრეზიდენტს იძულების წესით დაათმობინა ეს ქონება“.**

ამის შემდეგ, შალვა ოგბაიძეს მისი კუთვნილი კომპანია „ჯი თი ეს ვადალაზიც“ წართვა. 2006 წლის 6 მაისის დარბევის შემდეგ, კომპანიაში, რომელიც ერთ-ერთი საავტომობილო ფირმის ოფიციალური წარმომადგენელი იყო საქართველოში, საგადასახადო ინსპექტორები შედიან. შემოწმების შედეგად, დიდი ოდენობით აღურიცხავი „ანტიფრიზი“ აღმოაჩინეს, რის გამოც უზარმაზარი ჯარიმა დაუწესეს. კომპანიამ ჯარიმის გადახდა ვერ შეძლო და სახელმწიფომ აუქციონზე გაიტანა გასაყიდად. შალვა ოგბაიძეს საავტორო ავტო-სკოლაც ჰქონდა საკუთრებაში, რომელიც მეგობართან ერთად დააფუძნა. საგადასახადო ინსპექტორებმა ეს სკოლაც „შეამოწმეს“ და დარღვევებიც აღმოაჩინეს. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, შალვა ოგბაიძესაც გაუჩნდა იმედის ნაპერწკალი, რომ უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას დაიბრუნებდა. განცხადებით მთავარ პროკურატურას მიმართა, არჩილ კბილაშვილსაც შეხვდა, მაგრამ გამოძიება წინ არ წასულა, არავინ არ დაუკითხავთ და ოგბაიძე არც დაზარალებულად უცნიათ.

ქალაქ რუსთავში მცხოვრებმა დიასახლისმა, ნონა ჩხობაძემ მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს შეიძინა. 2007 წელს, საჭირო პროცედურების გავლის შემდეგ, მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა და აგარაკის მშენებლობა წამოიწყო. 2010 წლის ივნისში, ნონა ჩხობაძე გარდაბნის რაიონის პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს, რომელიც 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა: **„მშიშარა ადამიანი არ ვარ, მაგრამ 5-საათიანი დაკითხვა დამთრგუნველი და დამამცირებელი იყო. პირდაპირ მითხრეს, რომ თუ მიწის ნაკვეთს არ ჩავაბარებდი, თაღლითობის მუხლით გამასამართლებდნენ. ვიცოდი, რომ სამართალს ვერ ვიპოვიდი და გადავწყვიტე, მშვიდობიანად ჩამებარებინა ჩემი საკუთრება. დაკითხვის შემდეგ, საჯარო რეესტრის რუსთავის რომელიღაც განყოფილებაში გამიშვეს, ფორმა თვითონვე მომცეს, განცხადება დამაწერინეს და ნებაყოფლობით ჩამაბარებინეს ნაკვეთი, რომელსაც მიტოვებულის სტატუსი მიანიჭეს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ჩემი კუთვნილი მიწის ნაკვეთი ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. პროკურატურას უკვე მივმართე და ველოდები, როდის მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ჩემი ქონება დავიბრუნო“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დოკუმენტური ფილმის კიდევ ერთი გმირი, ფერმერი დავით ზოდელავა სიღნაღის რაიონში, 50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ითხოვს, რომელიც ზურაბ ადეიშვილის პირდაპირი მოთხოვნით, სახელმწიფოს სასარგებლოდ დაათმობინეს: **„დაახლოებით, 20 წელია, მიწის ეს ნაკვეთი იჯარით მქონდა აღებული და როდესაც სახელმწიფომ მეიჯარეებს მიწის გამოსყიდვის უფლება მისცა, სწორედ მაშინ შევისყიდე მიწის ფართობები. მიწის ნაკვეთი, რომელიც წამართვეს, ერთ-ერთი კომპანიისთვის მქონდა იჯარით გადაცემული, გზის პირას მდებარეობდა, გვერდით არხიც ჰქონდა და, როგორც ჩანს, ეს იყო მიზეზი, რის გამოც დაინტერესდნენ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი, გია ლიპარტელიანი დაუკავშირდა ჩემს მეიჯარეს და პირდაპირ განუცხადა, რომ ზურაბ ადეიშვილის მოთხოვნით, მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. მეიჯარემ აუხსნა, რომ მფლობელი მე ვიყავი, მეორე დღეს შემხვდა ლიპარტელიანი, რომელსაც განვუცხადე, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავთმობდი მიწის ნაკვეთს. სამაგიეროდ სხვა ნაკვეთი შევთავაზე, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუთმობდი, თუკი სადმე სხვაგან, იგივე ფართობის მიწის ნაკვეთს შემომთავაზებდნენ. ზურაბ ადეიშვილიც კი დამელაპარაკა ტელეფონზე, მაგრამ მასაც იგივე ვუთხარი, რადგან არ ვაპირებდი დამეთმო მიწის ნაკვეთი, რომელშიც ამხელა ინვესტიცია მქონდა ჩადებული. ბოლოს და ბოლოს, თითქოს დამთანხმდნენ, რომ სხვა მიწის ნაკვეთს დავუთმობდი და წავედით საჯარო რეესტრში, სადაც გია ლიპარტელიანი დამხვდა. დავწერე კიდეც განცხადება, მაგრამ ცოტა ხანში შევიტყვე, რომ გზის პირას მდებარე 50 ჰექტარი ფართობის მიწა, რომელიც კომპანიისთვის მქონდა იჯარით გადაცემული, სახელმწიფოს საკუთრებაში იყო რეგისტრირებული, ხოლო ის ნაკვეთი, რომელზეც განცხადება დავწერე — ჩემს სახელზე დაურეგისტრირებიათ“.**

დავით ზოდელავამ სასამართლოსაც მიმართა, ეკონომიკის სამინისტროსაც და საჯარო რეესტრსაც, მაგრამ უშედეგოდ. იმის გამო, რომ „ურჩმა“ ფერმერმა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესი დაიწყო, მის კუთვნილ საწარმოებში საგადასახადო შემოწმებების სერია დაიწყო, რის გამოც უზარმაზარი ჯარიმა დააწერეს. დავით ზოდელავა დაუფარავად აცხადებს, რომ ეკონომიკის სამინისტრო, განსაკუთრებით კი პრივატიზების დეპარტამენტი აუღებელი ციხე-სიმაგრეა, სადაც ზუსტად იგივე ხალხი მუშაობს, რომლებიც მუშაობდნენ წინა ხელისუფლების პირობებში. პრივატიზების დეპარტამენტის თანამშრომლები კვირაში ერთხელ პირდებიან ზოდელავას, რომ მის საქმეს განიხილავენ, მაგრამ ფერმერის კუთვნილი მიწის ნაკვეთი ისევ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. ახალი ხელისუფლების პირობებში, დავით ზოდელავას იმედი აქვს, რომ კუთვნილ უძრავ ქონებას დაიბრუნებს, რადგან კომპანიას, რომელიც ჯერ კიდევ ამუშავებს სიღნაღის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთს, საშიშროება ექმნება, რომ ეკონომიკის სამინისტრო მის ბალანსზე დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ან აუქციონზე გაიტანს, ან პირდაპირი მიყიდვის წესით, გაყიდის რომელიმე მესაკუთრეზე.

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ანკარაში, თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა, სადაც შეხვდება თურქ კოლეგას, თურქეთის რესპუბლიკის შს მინისტრ მუამერ გიულერს.

შეხვედრის დროს მხარეები განიხილავენ უწყებებს შორის პოლიციის სფეროში არსებულ თანამშრომლობას და ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო გეგმებს.

ვიზიტის ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდება თურქეთის ეროვნული პოლიციის გენერალურ დირექტორ მეჰმეტ კილიჩლარს. შს მინისტრი ასევე ეწვევა თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემიას და გაეცნობა მის სასწავლო პროცესს.

საქართველოს შს მინისტრის ვიზიტი 29 აგვისტოს დასრულდება.

„ვერსიანიუსი“

ნაციონალი აკაკი ბობოხიძე გიორგი მარგველაშვილისთვის ხმებს აგროვებს!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ტრადიციულად ემოციური ნაციონალი აკაკი ბობოხიძე „ვერსიისთვის“ ამჯერადაც ორიგინალურ განცხადებებს აკეთებს. კიდევ უფრო ორიგინალური კი მისი წამოწყებაა — ნაციონალების სტაჟიანი ლიდერი თურმე ცდას ატარებს და პარტაქტივისტებს „ოცნების“ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილისთვის ხელმოწერებს აგროვებინებს. რაში სჭირდება დამარცხებული პარტიის ლიდერს მსგავსი ცდები და როგორ აპირებს პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ — „ვერსიის“ კითხვებს აკაკი ბობოხიძე პასუხობს.

„ჩვენი პარტიის მთავარი პრობლემა ისაა, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტია!“

— წინასაარჩევნოდ მიხეილ სააკაშვილმა გაგრის აღებისას უგზოუკვლოდ დაკარგული ჯარისკაცების დაჯილდოების სიგელს ხელი არ მოაწერა, მათ შორის, მხედრიონელები არიანო — ეს ან მორალურად, ან მარკეტინგულად სწორია?

— მხოლოდ ის ვიცი, რომ პრეზიდენტს, ჯერჯერობით, ხელი არ აქვს მოწერილი, მაგრამ ჩემთვის უცნობია მოტივი. ნებისმიერი ადამიანი, იყო თუ არა ის მხედრიონელი, იმსახურებს ან არ იმსახურებს ჯილდოს მხოლოდ საკუთარი ქმედებებიდან გამომდინარე. უამრავი მხედრიონელი ღირსეულად შეეწირა სამშობლოსთვის ბრძოლას, ამიტომ საიდან მოიტანა მხედრიონის რომელიღაც ნაწილმა ბრალდება, თითქოს, პრეზიდენტს ომში მებრძოლი ბიჭებისადმი ცუდი დამოკიდებულება აქვს, არ ვიცი. თან, რაც გასაკეთებელი არ არის, ის არც წინასაარჩევნოდ უნდა გააკეთო!

— ამბობთ, ნასამართლეობის მოხსნის მთხოვნელებისთვის სააკაშვილის რეზიდენციის წინ კარავი რომ დასცეს, ეს წინასაარჩევნო სვლა არ არის?

— იცით რა, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზარმაზარი შეცდომა დაუშვა, როცა ასეთი მასშტაბური ამნისტია გამოაცხადა და ამას სწორედ ის ნაბიჯი არ მოაყოლა, რაც პრეზიდენტმა გადადგა. ეს ამნისტირებული ხალხი ციხეში „ჟიგულების“ დროს შევიდა და „მერსედესების“ დროს გამოვიდა, ამიტომ დღეს მათ წინაშე საცდური უფრო მეტია. შესაბამისად, ამ ხალხს ადაპტირების საშუალება უნდა მივცეთ, არ გავრიყოთ და გარდაუვალი ცდუნების წინაშე არ უნდა დავაყენოთ.

— ამ საცდურის წინააღმდეგ, ხომ ხედავთ, შს სამინისტრო რეიდებს ატარებს, მით უმეტეს, ნაციონალები მუდმივად იმაზე აპელირებთ, რომ ქვეყანაში დანაშაულის რიცხვი გაზრდილია.

— ცუდი ისაა, რომ რეიდების საჭიროება დადგა ქვეყანაში და ვითარების გაუმჯობესებას შევარდნაძისდროინდელი ღონისძიება დასჭირდა! არ მახსენდება, ჩვენი ხელისუფლების დროს, გონივრული ეჭვის საფუძველზე, ქალები და ბავშვები ასე მასობრივად გაეჩერებინათ. ახლა აწყობენ რეიდებს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ინდივიდებს კი არა, ხალხს ჯგუფურად აჩერებენ. ეჭვი მიჩნდება, რომ ხელისუფლებაში არსებობს ძალები, ვისაც ან გონიერება არ ჰყოფნის, ან გუნდის შიგნით ხელისუფლების დისკრედიტებაზე მუშაობს. ბიძინა ივანიშვილმა ამოწურა თავისი როლი — მან ლეგიტიმური გახადა საქართველოში რუსეთზე დადებით კონტექსტში ხმამაღლა საუბარი და ახლა იგი, უბრალოდ, აღარ სჭირდებათ. თუ არადა, მაშინ არ მესმის, წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას მსგავსი არაპოპულარული, არასწორი და უკანონო რეიდები რა ხელს აძლევს?!

— ვის სურს ივანიშვილის დისკრედიტება მისივე გუნდში?

— მთელი „ოცნება“ ისედაც გაუგებარი წარმონაქმნია, სადაც სხვადასხვა საგარეო კურსისა და იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ჯგუფებია. გარდა ამისა, დაბრუნდნენ შევარდნაძისდრონდელი მაღალჩინოსნები, რომლებმაც სხვანაირი მუშაობა არ იციან და ისევ დაჭაობებულ ქვეყანაში უნდათ ცხოვრება. 4 დღის წინ თერჯოლასთან რუსულნომრიანი მანქანა დავაფიქსირე, რომელსაც მსხვილი ასოებით ეწერა: „მე მკრიშავს ბაზალოვი“. არ ვიცი, ეს მანქანა ვისია, არც ის ვიცი, ვინაა ეს ბაზალოვი, მაგრამ რუსეთში დღემდე ასეთი მენტალობაა და აი, ამ მენტალობაში სურს ჩვენი დაბრუნება წარსულიდან დაბრუნებულთა დიდ ნაწილს! ბაყაყი თავს კარგად ჭაობში გრძნობს, ამიტომ ყველა ბაყაყს უნდა, თავისი ჭაობი მოძებნოს. იმასაც გეტყვით, რომ ივანიშვილის განცხადება, პოსტიდან წასვლას ვაპირებო, ამ ქვეყნისთვის ყველაზე დიდი მუხრუჭია!

— ე.ი. თქვენ გინდათ, ივანიშვილი პრემიერის პოსტზე დარჩეს?

— ასეთი არაორდინალური სახელმწიფო ლიდერის პირობებში, არც ერთი ინვესტორი ამ ქვეყანაში შემოსვლას არ მოინდომებს. კარგი იქნებოდა, მსგავსი რამ ივანიშვილს საერთოდ არ ეთქვა, მაგრამ რაკი უკვე თქვა, სჯობს, მალე გადადგეს, რადგან მოლოდინის რეჟიმი უაზროდ არ გაწელოს.

— ყველა ინვესტორი, ალბათ, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებსაც ელის, სადაც, დიდი ალბათობით, ნაციონალი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს.

— გიორგი მარგველაშვილი თურმე იმით იქნება სასარგებლო, რომ ივანიშვილს დაემორჩილება და მის გარეშე ნაბიჯს არ გადადგამს, როგორც თავად თქვა. ასევე, როგორც გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, პრემიერის პოსტზე მისი კანდიდატურა განიხილება და ახლა წარმოიდგინეთ ვითარება — გვყავს პრეზიდენტი მარგველაშვილი და პრემიერი კვირიკაშვილი ანუ ის ადამიანები, ვისაც დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია! მე ასეთ ქვეყანაში პერსპექტივას საერთოდ ვეღარ ვხედავ.

— მარგველაშვილი, ბაქრაძე და ბურჯანაძე — ეს ძირითადი სამეულია ამ არჩევნებში. ვის რა პერსპექტივას უწინასწარმეტყველებს აკაკი ბობოხიძე?

— რეალურად, დღეს ორი საპრეზიდენტო ბანაკი გვაქვს — მარგველაშვილ-ბურჯანაძისა და მეორე — ბაქრაძის. იმ ორს ერთ ბანაკში იმიტომ განვიხილავ, რომ რბილი პრორუსული და გაცხადებულად პრორუსული ორიენტაცია ჩემთვის ერთია. დასავლური ორიენტაციის მქონე კი მხოლოდ დავით ბაქრაძეა წარმოდგენილ კანდიდატთაგან. ვიცი ერთი რამ — ახლა ბაქრაძისთვის ხელმოწერებს ვაგროვებთ და ხალხისგან საკმაოდ დადებითი იმპულსები მოდის. საჭირო 25 000 ხმას ბარე ორი 25 000-ით გადავცდით. მეტსაც გეტყვით — მე ასეთი საინტერესო მცდელობა მქონდა: ჩვენს ბიჭებს ვთხოვე, ხელმოწერები მარგველაშვილისთვისაც მოეგროვებინათ.

— ბოდიში, მარგველაშვილს ხმებს თქვენ რატომ უგროვებთ?

— ბევრი მიზეზის გამო: კაცი, რომელიც ამბობს, რომ მთელი მისი პრეზიდენტობა მხოლოდ ბიძინას მორჩილებაში გამოიხატება და ამ დროს, ბიძინა პოლიტიკიდან მიდის, პრეზიდენტი არ უნდა გახდეს. ბიძინას წასვლის შემდეგ, მაინტერესებს, მარგველაშვილი ვისი პრეზიდენტი უნდა იყოს?! ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ საქართველოს მოსახლეობის დასარწმუნებლად, რომ პრეზიდენტად დავით ბაქრაძე აირჩიოს. ჩემს ცდას რაც შეეხება, მინდა გითხრათ, ძალიან ბევრი ადამიანი უარს ამბობს მარგველაშვილის სასარგებლოდ ხელმოწერაზე, სწორედ ამ მოტივის გამო. 22 წელია არჩევნებში ვარ და ჩვენი მხარდამჭერები, სახელებითა და გვარებით, სულ ზეპირად ვიცი, დანარჩენი პარტიების პრობლემა კი ისაა, რომ საკუთარი ამომრჩეველი იდენტიფიცირებულიც არ ჰყავთ.

— მერე რაღა თქვენ უნდა გაუკეთოთ იდენტიფიცირება მარგველაშვილის ამომრჩეველს — თუ ძმებ ბობოხიძეებს იმერეთის „ზონდერებს“ ტყუილად არ გიწოდებენ?

— რაში გამოიხატება ჩვენი „ზონდერობა“, ერთი, ვინმემ გამაგებინოს?! არჩევნებს ყოველთვის იმით ვიგებდი, რომ ჩემს ამომრჩეველთან ერთად ვცხოვრობდი და ზეპირად ვიცი, ვის რა უჭირს და ულხინს... მხოლოდ ის მაინტერესებდა, რა განწყობაა ჩვენს მოწინააღმდეგეებში და გავარკვიე — ისინი სახელმწიფოს ნგრევას არ მიესალმებიან! ბუნებრივია, ჩვენც გვაქვს გარკვეული პრობლემები, რაც წაგების შემდეგ ყველა პარტიას შეიძლება შეექმნას. თუმცა ის, რომ ჩვენი პარტიიდან დაბალი რგოლის ლიდერები „ოცნებაში“ გადაბარგდნენ, მარტო ნაციონალების კი არა, თავად „ოცნების“ პრობლემაცაა. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ჩვენგან წასულები.

— პარტიის მთავარი პოსტებიდან სააკაშვილი-მერაბიშვილის გადაყენებას აღარ აპირებთ?

— ვთქვი, რომ მას მერე, რაც მძიმე ფაქტები გახმაურდა, პარტიას ახალი ხელმძღვანელობის არჩევა უნდა შევთავაზოთ-მეთქი. თავის დროზე, ეს ნაბიჯი სწორი იქნებოდა, მაგრამ ახლა აღარ ღირს, რადგან ვითარება დამშვიდდა. ამ იდეას პარტიაში უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა, თუმცა ეს პარტიის შიდასამზარეულოა და მხოლოდ ეს ორი კაცი კი არა, მეც ვაგებ იმ ყველაფერზე პასუხს, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა.

— ისე, სააკაშვილის წასვლის მერე ნაციონალებს ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება როგორ წარმოგიდგენიათ?

— გგონიათ, ნაცმოძრაობა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სააკაშვილია პრეზიდენტი? ჩემი აზრით, პრეზიდენტობის დასრულების შემდეგ სააკაშვილი გაცილებით აქტიური იქნება და სამოქმედოდაც უფრო დიდი არეალი ექნება. დღეს მას ორი პასუხისმგებლობა აქვს — თან პარტიის თავმჯდომარეა, თან ქვეყნის ხელმძღვანელი. როცა ის მხოლოდ ნაცმოძრაობის თავმჯდომარე იქნება, გაცილებით მეტი თავისუფლება ექნება და ეს ჩვენს პარტიაზე მხოლოდ დადებითად აისახება. ჩვენი პარტიის მთავარი პრობლემა დღეს ისაა, რომ სააკაშვილი პრეზიდენტია.

— ხელს თუ მისი პრეზიდენტობა გიშლით, მიდის 2 თვეში და სწორედ ამას გეკითხებით — მერე რას აპირებთ?

— აბა, ეს ხელს როგორ არ უნდა მიშლიდეს — იმის ნაცვლად, იჯდეს აქ, პარტიის ოფისში და ვთათბირობდეთ, რა და როგორ სჯობს, უამრავი სხვა საქმე აქვს. ჰოდა, როცა ყველა ამ საქმისგან თავისუფალი იქნება, მერე ჩვენს პარტიას უკეთ მივხედავთ.

— ისე, დავით ბაქრაძის დამარცხების შემდეგ, თურმე, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერობიდან მის ჩაჩოჩებას აპირებთ, ან შესაძლოა, უმცირესობა საერთოდ დაიშალოს — ასეა?

— დავით ბაქრაძე რატომ უნდა გადავაყენოთ? ეს არაფერში გვჭირდება — დათო რეიტინგული, გაწონასწორებული პოლიტიკოსია, რომლის წასვლა ნამდვილად დაგვაზარალებს. ხოლო თუ უმცირესობა დაიშლება და აღარ იარსებებს, მაშინ დათოს უნდა თუ არა, უმცირესობის ლიდერი მაინც ვეღარ იქნება. თუმცა ყველა ეს სცენარი ირეალურია.

ვერსიანიუსი

მოსამართლემ ავთო ადუაშვილის ახლობლები სასამართლო დარბაზიდან გააძევა

ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეზე სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი ბრალდებული თეიმურაზ ქობალია დაიკითხა. პროცესზე, ქობალიამ განაცხადა, რომ ვახტანგ ჩხაპელია, რომელიც ბრალდების მხარის მიერ ავთო ადუაშვილის მკვლელობის შემკვეთად სახელდება, რამდენჯერმე დაუკავშირდა და უთხრა, რომ ოჯახური პრობლემები ჰქონდა და ერთი პირის მოკვლა სურდა, თუმცა ვინაობა არ დაუსახელებია.

ქობალიას თქმით, ჩხაპელია ამ საქმეში 50 000 დოლარის გადახდას აპირებდა, თუმცა თანხას ვინ იხდიდა, ჩხაპელიას არ უთქვამს.

ქობალიამ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულებიდან ასევე იცნობს გელა უბილავას, რომელიც მკვლელობის ორგანიზატორად არის დასახელებული.

ქობალიამ, რომელიც ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომელია, ადუაშვილის მკვლელობის შემდგომი პერიოდიც გაიხსენა და განაცხადა, რომ დეკემბერში უბილავას შეხვდა და გაიგო, რომ ჩხაპელიამ თანხის ნახევარი გადაიხადა. ბრალდებულის თქმით, უბილავამ ასევე განაცხადა, რომ ჩხაპელია თავიდან დაკავშირებია სხვა პირს, რომელმაც თანხის ნახევარი წინასწარ გამოართვა, თუმცა საქმე არ შეასრულა.

სასამართლო პროცესზე, მოსამართლე ეკა არეშიძემ დაცვის მხარის შუამდგომლობა სასამართლო პროცესის დახურვის შესახებ არ დააკმაყოფილა. დაცვის მხარემ სხდომის დახურვის შესახებ შუამდგომლობა იმ მოტივით დააყენა, რომ დაზარალებულების მხრიდან აგრესია შეიმჩნეოდა.

სასამართლო სხდომაზე, მანდატურმა მოსამართლეს სამი პირის მიერ პროცესის დროს შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისა და შეძახილების შესახებ შეატყობინა. მოსამართლემ, წესრიგის დარღვევისა და შეურაცხმყოფელი შეძახილებისათვის დარბაზიდან გააძევა ავთო ადუაშვილის ახლობლები და მეგობრები.

მოსამართლე ეკა არეშიძემ განაცხადა, რომ თუ სასამართლო პროცესი უმართავი გახდება, გამოიყენებს უფლებას, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დახუროს სხდომა.

„ინტერპრესნიუსი“

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის თბილისის მოსახლეობას თანამშრომლობისთვის და ამასთანავე, ბოდიშს უხდის შსს-ს მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს შექმნილი უხერხულობისთვის.

ასევე, გვსურს გაცნობოთ, რომ რამდენიმედღიანი პრევენციული ღონისძიებების შედეგად ამოღებულია ათეულობით უკანონო ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი.

მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ პოლიციის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებებისგან.

პოლიცია მოტივირებულია 24-საათიან რეჟიმში დაიცვას მოქალაქეების უსაფრთხოება, მოქმედებს კანონის ფარგლებში და ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს მიერ წარმატებით ჩატარებული ოპერაციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ზვიად ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისში, 26 მაისის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ზვიად ჩ-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 4 ცეცხლსასროლი იარაღი, ოთხი მჭიდი და 32 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია: „მაგნუმი 22“, „ზიგ-ზაუერი“, „ვალტერი“ და „ჩე-ზე 75“.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-მუხლის 1-ლი ნაწილით).

თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კი, წარსულში ნასამართლევი, 1973 წელს დაბადებული ირაკლი გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ირაკლი გ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მაკაროვის სისტემის 3 ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 31 ვაზნა ამოიღეს. ასევე ამოღებულია: რუსული წარმოების, „ტოზის“ ფირმის ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი, 7 საბრძოლო ვაზნა და 1 არგენტინული წარმოების ბარაბნიანი პისტოლეტი.

სამართალდამცველებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ირაკლი გ-ს საცხოვრებელი სახლიდან 43 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და 260-ე მუხლის მე-3 ნაწილებით).

„ვერსიანიუსი“

აურზაური გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბში

„ხელისუფლებაში ნაციონალების დასაბრუნებლად არ გვიბრძოლია!“

რა პრეტენზიები აქვთ რეგიონებიდან ჩამოსულ აქტივისტებს „ოცნების“ აღმოსავლეთ საქართველოს კოორდინატორთან

რუსუდან შელია
557-100-768

რა ხდება კოალიციის საპრეზიდენტო შტაბში, როცა გიორგი მარგველაშვილი რეგიონებში შეხვედრებს აქტიურად მართავს? — ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისს ვეწვიეთ — ამ შენობაშივე ფუნქციონირებს გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო შტაბიც...

— საშვის გარეშე ვერ შეგიშვებთ, დაურეკეთ ვინმეს, იქნებ დაგთანხმდნენ მიღებაზე, — უხსნიდა დაცვის თანამშრომელი ოფისის კართან მყოფ რამდენიმე მამაკაცს.

— რამდენიმე საათია ველოდებით, რით ვერ დასრულდა ეს თათბირი? გორიდან ვართ ჩამოსულები, — ხმაში სიბრაზე ემატებოდა ერთ-ერთ მათგანს.

— ოცნებაში ვართ ჩარჩენილები, — ხელის ჩაქნევით გამოეყო ჯგუფს ჭაღარა მამაკაცი და ოფისის მისაღები დატოვა. სანამ დანარჩენები დაცვის თანამშრომელთან კამათობდნენ, სწორედ მისგან ვცადე შემეტყო, რატომ ჩამოვიდნენ გორიდან და ვისთან შეხვედრას ითხოვდნენ კოალიციაში... თუ ჩემს ვინაობას არ გაამჟღავნებ, ყველაფერს მოგიყვებიო, მითხრა. მეც დავთანხმდი:

— ჩვენ გორში პარტია „ქართული ოცნების“ წევრები ვართ. თბილისში 40-მდე ადამიანი ჩამოვედით... დილიდან აქ ვართ. „ქართული ოცნების“ აღმოსავლეთ საქართველოს კოორდინატორ თედო კარიაულთან ან სხვა პასუხისმგებელ პირთან შეხვედრას ვითხოვთ, თუმცა ჩვენთვის ამ დრომდე ვერავინ მოიცალა, თათბირი გვაქვსო. არადა, გორში გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო შტაბის ხელმძღვანელად გამოცდილი ნაციონალი კოტე თავზარაშვილი ინიშნება. ამის უფლებას გორელები კოალიციას არ მივცემთ.

— კოალიციიდან ვინ ნიშნავს ნაციონალური მოძრაობის წევრს შტაბის უფროსად?

— თედო კარიაულმა პირდაპირ გვითხრა, დიახ, შტაბის უფროსად ნაციონალი კოტე უნდა დავნიშნოთო. არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, კოტე თავზარაშვილი „ქართულ ოცნებაში“ არავის უნახავს მაშინ, როცა საკუთარი სიცოცხლის ფასად დავუდექით გვერდით ბიძინა ივანიშვილს. კოტე თამაზაშვილი ნაციონალებთან იბრძოდა და გორელებს პოლიტიკურად ავიწროებდა. თუ ეს ადამიანი შტაბის ხელმძღვანელად მართლაც დაინიშნა, გარწმუნებთ, გიორგი მარგველაშვილი გორში არჩევნებს წააგებს.

— კოჰაბიტაციაცაა და კოჰაბიტაციაც, — დაცვასთან კამათი შეწყვიტა და დიალოგში ჩაერთო ჯგუფის ხელმძღვანელი, — გორში ნაციონალები ბრუნდებიან, უკვე დიდი ხანია რაიონში მოძლიერდნენ და კოალიციაზე მეტი გავლენაც აქვთ. თუ ასე გაგრძელდა, ნაციონალური მოძრაობა მალე ისევ ხელისუფლებაში იქნება, ჩვენ კი, პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლებს, 15-წლიანი „სროკი“ გარანტირებული გვაქვს.

— სიმართლეს ამბობს ეს კაცი, — დაეთანხმა თანაგუნდელს შუახნის მამაკაცი, — ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ხუბურულიც, მისი მეგობარი ნაციონალების გარდა, არავის ხვდება, არადა, უამრავი პრობლემა დაგროვდა რაიონში... თუ ღმერთი გწამს, ვის ვაინტერესებთ?

სანამ კოალიციის გორის შტაბში არსებულ პრობლემებს ვისმენდი, „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის შესასვლელთან ადამიანების ახალი ჯგუფი შევნიშნე. გორელებს დროებით დავემშვიდობე და მათი მოსვლის მიზეზით დავინტერესდი.

— სანამ არ შევხვდებით, გარდაბანში არ წავიდეთ, — აქტიურობდა სიმპათიური ქალბატონი.

— ჯერ გავარკვიოთ, რა ხდება, არსად მივდივართ! — აყვა მეორე.

ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, „ქართული ოცნების“ გარდაბანის შტაბში არსებულ პრობლემებზე მიამბო:

— პარტიის წევრები ვერ გავრკვეულვართ, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“. გარდაბნის რაიონის შტაბში სრული „დომხალია“. „ოცნების“ მიერ დაყენებული კანდიდატი გვყავდა გამგებლად, თუმცა შეგვიცვალეს და მის ნაცვლად, თანამდებობაზე ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობი პიროვნება დანიშნეს. მოადგილეების შემთხვევაშიც ასე ხდება.

— მოადგილეების შემთხვევაში რა ხდება? — ვეკითხები ბრაზმორეულ ქალბატონს, რომელიც დროდადრო დაცვის წევრებს უყურებს, — ჩემ საუბარს ხომ არ ისმენენო.

— ცოტა ხნის წინ გამგებლის მოადგილედ თენგიზ მიროტაძე დანიშნეს, რომელიც ნაცების დროს დმანისის გამგებელი იყო და ხალხს პოლიტიკურად დევნიდა. როგორც გვეუბნებიან, ვინმე ყოფილი ფორუმელი თედო კარიაული აკეთებს ამ ყველაფერს. ბუნებრივია, „ოცნების“ მსგავსი გადაწყვეტილებები ადგილობრივ მოსახლეობაში აგრესიას იწვევს, შტაბის წევრები გაავებულ ხალხს უკვე ვეღარ ვაკავებთ.

— ამ ფონზე, ადგილობრივების განწყობა გიორგი მარგველაშვილის მიმართ როგორია?

— ამბობენ, რომ თუ ვითარება არ შეიცვლება ,კოალიციის კანდიდატს არავინ მისცემს ხმას. გვიკვირს, რეგიონებში არჩევნების წინ ასეთ ვითარებას რატომ ქმნიან? ხალხს უკვე რეალურად ეშინია... არადა, გარდაბანში „ოცნებას“ საკმაოდ სერიოზული აქტივი, ყავს. ათასი კაცი პარტიაშია გაწევრიანებული, სულ 63 უბანი და 9 ზონა გვაქვს, ამასთან, 65 კოორდინატორი გვყავს... ჯამში, 2500- კაციანი აქტივია და ამ ხალხს კი გაძღოლა სჭირდება, მაგრამ არავინ გვაქცევს ყურადღებას. დღეს სწორედ ამ ვითარების გასარკვევად პარტიის 20-კაციანი ძირითადი ბირთვი ჩამოვედით. თუ პასუხს ვერ მივიღებთ, არ ვიცი, ასეთ პარტიაში დარჩენას რა აზრი აქვს?

— „ოცნების“ გარდაბნის პარტიის აქტივისტები სხვა პარტიაში გადასვლის საკითხს განიხილავთ?

— ჯერჯერობით, აქ ვართ, მაგრამ თუ ყურადღებას არავინ მოგვაქცევს, ვიფიქრებთ გადასვლაზეც. ჩვენ ხელისუფლებაში ნაციონალების დასაბრუნებლად ნამდვილად არ გვიბრძოლია.

გარდაბნიდან ჩამოსულ ქალბატონთან გასაუბრების შემდეგ „ქართული ოცნების“ აღმოსავლეთ საქართველოს კოორდინატორ თედო კარიაულთან დაკავშირება ვცადე, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წუთით მოიცალა. კითხვაზე, ერთი დღის განმავლობაში მის წინააღმდეგ საქართველოს ორი სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ჯგუფი რატომ ჩივის, რომ კოალიციის შტაბების ხელმძღვანელად ნაციონალური მოძრაობის წევრებს ნიშნავს, მან ასე მიპასუხა: **„არ მესმის, ამ ადამიანებს რა პრეტენზია აქვთ ჩემს მიმართ. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ რეგიონებში, პარტიის წევრებსაც ხშირად ვხვდები და პირადად ვეცნობი რაიონში არსებულ ვითარებას. უბრალოდ, ამ ადამიანებს თავად სურთ შტაბის ხელმძღვანელად დანიშვნა. მხოლოდ ესაა მიზეზი, რომ ჩემს წინააღმდეგ დაირაზმნენ. ყველას შევხვდები და დაველაპარაკები. ახლა კი თათბირი მაქვს, ვეღარ დაგელაპარაკებით“**.

ამასობაში, გორიდან ჩამოსული სტუმრებიდან ორი დაცვის თანამშრომელმა მესამე სართულზე აიყვანა, თუმცა ვინ დაუნიშნა მათ წარმომადგენლებს შეხვედრა, „ოცნების“ გორის შტაბის წარმომადგენლებმა აღარ გამიმხილეს.

„მედიის კონტროლის მიმართულებით ტენდენცია ხელისუფლებაში მართლაც შეინიშნება“

ბრუსუდან შელია
557-100-768

ერთთვიანი პაუზის შემდეგ გაზეთ „ვერსიისა“ და მედიაკავშირ „ობიექტივის“ ერთობლივი პროექტი „ვერსიის საათი“ პირდაპირ ეთერში დაბრუნდა. ორშაბათს, 26 აგვისტოს, გადაცემის სტუმარი საინიციატივო ჯგუფის წევრი ვასილ მაღლაფერიძე იყო, რომელმაც მედიასივრცეში მიმდინარე პროცესები შეაფასა და „მე-9 არხის“ ბაზაზე მცირე მასშტაბის ტელევიზიის შესაძლო შექმნაც დააანონსა.

— როცა „მე-9 არხის“ დახურვასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას ვაფასებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ კერძო საკუთრებასთან გვაქვს საქმე, სადაც სიტყვა მხოლოდ კომპანიის მფლობელს ეთქმის. მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესი და ადამიანური დამოკიდებულებაც მესმის უსამსახუროდ დარჩენილი ჟურნალისტების მიმართ. უმრავლესობა მათ თანაუგრძნობს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კერძო ტელეკომპანიის დახურვა შემოსავლების არარსებობის პირობებში, გარდაუვალი პროცესია. როცა პრემიერმა ბრძანა, ტელეკომპანია „მე-9 არხი“ ყოველთვიურად დოტაციის სახით თვეში მილიონ ლარს იღებდაო, ცხადი გახდა, რომ აღნიშნული ტელევიზია მუდმივად ბენზეზე ეკიდა. ბუნებრივია, ფული ციდან არ ცვივა, მას დათვლა უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი საკმაოდ მასშტაბური ქველმოქმედებითაა ცნობილი.

— ფიქრობთ, არხის დახურვის მიზეზი მხოლოდ შემოსავლების არარსებობა გახდა და მას საფუძვლად პოლიტიკური მოტივი არ ედო? პრემიერმა განაცხადა, რომ არჩევნების წინ არ სურს, მის ბალანსზე ტელევიზია ირიცხებოდეს.

— მოგეხსენებათ, არჩევნებამდე „მე-9 არხის“ გენერალური დირექტორის მოადგილე გახლდით, ამიტომ კარგად ვიცი, რა ხდებოდა ტელევიზიაში. არჩევნებამდე ტელევიზიის დაფინანსების ფორმა იდეალური არ ყოფილა, თუმცა მაშინ იძულებულები ვიყავით, ასე მოვქცეულიყავით. შეგახსენებთ, საპარლამენტო არჩევნებამდე მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული, პროპაგანდისტული არხები მაუწყებლობდნენ, რომლებიც 24 საათის განმავლობაში, საზოგადოებას მხოლოდ დეზინფორმაციას აწვდიდნენ — ეს საინფორმაციო ომი იყო. მართალია, მაშინ „მაესტრო“ და „კავკასიაც“ მაუწყებლობდა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ისინი მედიას ვერ აბალანსებდნენ. არჩევნების შემდეგ, როცა ქვეყანაში მედიისთვის კონკურენტული გარემო შეიქმნა, მივიღეთ რეალობა, როცა ტელევიზიებმა მაყურებელი თავად უნდა მოიზიდონ, ამიტომ ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა უხერხულად ჩათვალა, ტელევიზიის დოტაცია გაეგრძელებინა, მით უფრო, არჩევნების წინ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მან მხოლოდ ფინანსური გათვლა გააკეთა. პირიქით, მიმაჩნია, რომ პრემიერმა პოლიტიკურად აბსოლუტურად გამართლებული გადაწყვეტილება მიიღო. პირადად მე, ისიც მომწონს, რომ უზარმაზარი შესაძლებლობის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილი მისი პარტიის გაძლიერებაზეც უარს აცხადებს. ქართულ პოლიტიკაში პრემიერის სახით არაორდინალური შესაძლებლობების მქონე ადამიანია. შესაბამისად, მან ახლა ამ მიმართულებით მოქმედებები რომ დაიწყოს, ავტომატურად, მონსტრ ძალად ჩამოყალიბდება და დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი უბრალოდ მოკვდება. ისიც არ მესმის, რატომ ითხოვენ მისგან დაჟინებით საწარმოების მშენებლობის დაწყებას. წარმოიდგინეთ, თავისი ფინანსური შესაძლებლობის მქონე პიროვნებამ ბიზნესის წარმოება რომ დაიწყოს, კონკურენცია ვინ უნდა გაუწიოს?

— არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილის დაპირებებს შორის ყველა რაიონში თითო საწარმოს გახსნამაც გაიჟღერა, რაც მან პრემირად დანიშვნის შემდგომაც გაიმეორა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაპირდა, რომ წლის ბოლომდე ეს პროცესი დაიწყებოდა.

— გასაგებია, მაგრამ მიმაჩნია, რომ საკმაოდ საფრთხილო ნაბიჯი იქნება გადასადგმელი. მან ქვეყანაში ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ საწარმოების გახსნის სურვილი სხვა ბიზნესმენებს გაუჩნდეთ. ბიზნესი ხომ მხოლოდ სამუშაო ადგილების შექმნას არ გულისხმობს — ბიზნესი კონკურენციაა. ტელევიზიებთან მიმართებაში პრემიერის სიფრთხილეც ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია.

— თქვენთვის „მე-9 არხის“ ჟურნალისტებისადმი პრემიერის მიმართვის ფორმაც მისაღები იყო, როცა ტელევიზიის დახურვის გადაწყვეტილება ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმს დააბრალა?

— ის ფაქტი, რომ პრემიერი არხის დახურვას აპირებდა, ჟურნალისტებისთვის დიდი ხანია ცნობილია. თითოეული მათგანის კონტრაქტი აგვისტოს ბოლოს მთავრდებოდა, ხოლო როცა კონტრაქტის ვადა იწურება, ეს იმას ნიშნავს, რომ სამსახურიც არ გაქვს. ნამდვილად ვერ შევალ იმის განხილვაში, რა იყო სწორი და რა არასწორი, მაგრამ ჩემთვის ტელეკომპანიის დახურვა მოულოდნელი არ ყოფილა. სწორედ ამიტომ გამოვედით ინიციატივით, ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ბაზაზე მედიაში ახალი ტელევიზია გამოჩნდეს, რომელიც სტრუქტურულად ისე ჩამოყალიბდება, რომ არც ერთი პარტიის ზეგავლენის ქვეშ არ მოექცევა. აქვე ვაცხადებ, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ტელეკომპანიის დირექტორს შევცვლით და დანარჩენს ძველებურად დავტოვებთ. არა, ჩვენ ვფიქრობთ, მედიაბაზარზე არადოტაციური ტელევიზიით შემოვიდეთ. სიმართლე გითხრათ, ველოდები, რომ უახლოეს დღეებში ამ საკითხებზე დავილაპარაკებთ — ან შედგება მოლაპარაკებები ჩვენ შორის და შევთანხმდებით, ან ვერა, მაგრამ ეს საწყენი არც ერთი მხარისთვის არ უნდა იყოს. ეს ჩვეულებრივი ბიზნესია, სადაც ყოველთვის არსებობს რისკი, რომ სასურველ მიზანს ვერ მიაღწევ. მთავარია, ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მიერ გადადგმული წინადადება არავის აზიანებს. პირდაპირ ვაცხადებ, შეთანხმების შემთხვევაში, ტელეკომპანიის 600 ჟურნალისტის შენარჩუნებას სულაც არ ვაპირებთ.

— მას შემდეგ, რაც არხის შეძენის სურვილი და მის სააქციო საზოგადოებად ფორმირების შესახებ ინიციატივა გაახმოვანეთ, საზოგადოებაში აქტუალური კითხვა გაჩნდა — საიდან გაქვთ არხის შესაძენი ფინანსები?

— დიახ, ხშირად მეკითხებიან, სად ვიშოვე 16 მილიონი. ეს არასწორი ინფორმაციაა. ჩვენ ამხელა თანხის გადახდას არ ვაპირებთ. „მეცხრე არხში“ ძალიან დიდი ქონებაა, მაგრამ იმისთვის, რომ ტელეკომპანიის ბაზაზე შედარებით მცირე მასშტაბის არხი შეიქმნას, ჩვენ მხოლოდ გარკვეული კომპონენტები გვჭირდება. პირადად მე, ჩვეულებრივი აქციონერი ვიქნები და ტელევიზიის მართვაში მონაწილეობას არ ვაპირებ.

— პრემიერი თანახმაა, არხი ამ ფორმატით გაასხვისოს?

— ბიძინა ივანიშვილს უკვე შევხვდით, ის მხარს უჭერს საქართველოში არსებობდეს მოქალაქეების მიერ მართული ტელევიზია. ვინც ამ საკითხის ირგვლივ აჟიოტაჟი ატეხა, დიდწილად დაინტერესებულია, ჩვენს მიერ შეთავაზებული ფორმატის ტელევიზია ბაზარზე არ გამოჩნდეს, მაგრამ ასეთებს შეუძლიათ თავიანთ ოთახში იქილიკონ. ჩვენს ინიციატივას პირველივე დღეს დაახლოებით, 4 700 ადამიანი შეუერთდა, რომლებმაც სააქციო საზოგადოების დაფუძნების სურვილი გამოთქვეს. საჭიროების შემთხვევაში თანხა სწორედ ამ ადამიანებისგან აგროვდება. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ახლა ტელეკომპანიები, გასულ წელთან შედარებით, აბსოლუტურად თავისუფალ გარემოში მაუწყებლობენ. სარეკლამო იზოლაციიდანაც ეტაპობრივად გამოვდივართ. მახსოვს, საპარლამენტო არჩევნებამდე „მაესტროზე“ მხოლოდ აბანოთუბანში არსებული საჩებურეკეს რეკლამა გადიოდა. დღეს კი ტელევიზიის სარეკლამო ბადე სრულადაა გავსებული.

— თუმცა მამუკა ღლონტი არ მალავს, რომ ხელისუფლების ერთი შტო „მაესტროზე“ ზეწოლას ახორციელებს და ფინანსურ პრობლემებს უქმნის.

— სწორედაც რომ, ეს არის საინტერესო... სხვათა შორის, რამდენჯერაც „მაესტროზე“ ითქვა, რომ ხელისუფლება ტელეკომპანიის საქმიანობაში ერეოდა, ცრუ განგაში არასოდეს აღმოჩენილა. ბევრი მეუბნება, მამუკა ღლონტი ამ ყველაფერს ტყუილად ამბობს, აჭარბებსო, მაგრამ ყველას ვპასუხობ, გაიხსენონ, რა ხდებოდა ამ ტელევიზიის წინააღმდგ არჩევნებამდე და როდის აღმოჩენილა ტყუილი მამუკა ღლონტის განცხადება. მახსოვს, ჯერ კიდევ საკნების პერიოდში, ტელევიზიაში ბომბი შეაგდეს, შემდეგ სასამართლოებში დავრბოდით... ახლა რატომ უნდა გავატაროთ მისი სიგნალი?

როგორც ჩანს, რაღაც ტენდენციები მედიის კონტროლის მიმართულებით ხელისუფლებაში მართლაც შეინიშნება. შესაძლოა, ხელისუფლებაში გარკვეული ძალები ამბიციით არიან შეპყრობილნი, რომ ქვეყანაში ყველაფერი უნდა მართონ... იმ ადამიანებს, რომლებიც „მაესტროზე“ გავლენის მოპოვებას ცდილობენ, ჩვენნაირი ტელევიზიის გახსნაც არ გაუხარდებათ, ამიტომ საზოგადოებაში ნიჰილიზმს აღვივებენ, თუმცა მთლიანობაში, მედიაში მიმდინარე პროცესებს ტრაგიკულად არ ვაფასებ — ვითარება შარშანდელთან შედარებით განსხვავდება... ცემა-ტყეპა, ფიზიკური შეურაცხყოფა — ეს უკვე გავლილი გვაქვს და როგორი სურვილიც უნდა ამოძრავებდეთ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, მსგავს ზეწოლას აღარასოდეს დავუშვებთ.

„5 წლის შემდეგ, სეპარატისტული რეგიონები მოსკოვისკენ მიიწევენ“

Five years on, breakaway regions find orientation towards Moscow a mixed blessing

South Ossetia and Abkhazia are long spilt from Georgia. But they are left in limbo

ამ სათაურით აქვეყნებს ირლანდიური გამოცემა The Irish Times დენიელ მაკლაფლინის სტატიას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მართალია, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კარგა ხანია საქართველოს გამოეყვნენ, თუმცა დღემდე გაურკვევლობაში ცხოვრობენ. ქართულ სოფელ ერგნეთში კი მობილური ტელეფონით აბონენტებს განსაკუთრებული მოკლე ტექსტური შეტყობინება მისდით: **„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რუსეთში!“**

„საქართველოს ოფიციალური ტერიტორია კიდევ 50 კმ-ით გადაიწია. აღმართული ღობეები და მავთულხლართები, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსი ჯარისკაცების სამეთვალყურეო პოსტებზე, შეუძლებელს ხდის უფრო შორს წასვლას. საგუშაგოზე კი ერთდროულად ორი დროშაა აღმართული: წითელ-თეთრ-ლურჯ ფერში გადაწყვეტილი რუსეთისა და თეთრ-ყვითელი ფერის სამხრეთ ოსეთის დროშა. საქართველოს ეს რეგიონი ხუთი წლის წინ კრემლმა სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა“, — წერს დენიელ მაკლაფლინი. მისი თქმით, დამოუკიდებლობის მიღებიდან 5 წლის შემდეგ რეგიონი, რომელმაც საქართველოდან დე-ფაქტო დამოუკიდებლობა რუსეთზე სრულ დამოკიდებულებაზე გაცვალა, კვლავ გაურკვევლობაში ცხოვრობს. რუსეთი არა მხოლოდ იცავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სადავო საზღვრებს, არამედ რეგიონის ერთადერთ სავაჭრო პარტნიორად, ინვესტორად და დამხმარედ მოიაზრება: სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთი თანდათან კარგავს მოთმინებას თავის პატარა, მაგრამ ძვირადღირებულ მეურვეობის ქვეშ მყოფ რეგიონზე. მოსკოვმა 2008 წლის შემდეგ ე.წ. სამხრეთ ოსეთში 750 მლნ ევრო ჩადო, თუმცა ამ თანხის უმეტესი ნაწილი მოიპარეს ან უმიზნოდ გაანიავეს. ომის შედეგად დაზიანებული შენობები და განადგურებული ინფრასტრუქტურა კი კვლავ მოშლილია: **„ბოლო კვირაში მომხდარმა ორმა შემთხვევამ კიდევ უფრო აშკარა გახადა სამხრეთ ოსეთის და უფრო მეტად, რუსეთის წინაშე მდგარი პრობლემები: ძველი მილების გახეთქვის შედეგად, ცხინვალის მოსახლეობას წყლის მიწოდება შეუჩერდა; პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა კი განაცხადა, რომ რეკონსტრუქციის პროექტებიდან თანხის მითვისების გამო, 9 ყოფილ მაღალჩინოსანზე გაიცა დაპატიმრების ორდერი, მათ შორის, ექსმინისტრებზე“.**

ავტორის თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი არ გამოთქვამს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სურვილს, თუმცა ადგილობრივები აღიარებენ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთმა ოფიციალურად ცნო ისინი დამოუკიდებლად, მეტის მოლოდინი ჰქონდათ: **„დღეს, რეგიონში ნაციონალური ფსიქოლოგიური დეპრესიის ნიშნები იკვეთება – ხალხს თვითრწმენა, საზოგადოების, ლიდერებისა და ქვეყნის ნდობა დაეკარგა. ცხოვრება ინერტულად მიედინება. შესაძლოა, იმიტომ, რომ ეკონომიკა არ ვითარდება. ჩვენ სრულ ეკონომიკურ სტაგნაციას განვიცდით“,** — ციტირებს სტატიის ავტორი სამხრეთ ოსეთის მთავრობის ყოფილი პრესსპიკერის, ირინა გაგლოევას კომენტარს. დენიელ მაკლაფლინი ასევე აღნიშნავს, რომ თვითგამოცხადებული რეგიონის მომავალი კვლავ ბუნდოვანია: **„მიუხედავად იმისა, რომ ხალხი აქაც რუსულ პასპორტებსა და რუბლებს მოიხმარს, რუსეთთან გაერთიანებას ბევრად ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს“.**

დენიელ მაკლაფლინი ასევე წერს, რომ საქართველო უარს ამბობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და მიიჩნევს, რომ თავისი ტერიტორიების მეხუთედი რუსეთის ჯარების მიერაა ოკუპირებული: **„მაგრამ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შეარბილა თბილისის პოზიცია იზოლაციის პოლიტიკის შერბილებით და მათი დარწმუნებით, რომ მათთვის უმჯობესი იქნება საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება“,** — წერს ავტორი და ბიძინა ივანიშვილის კომენტარსაც ციტირებს: **„ჩვენ საქართველო მათთვის მიმზიდველი უნდა გავხადოთ მყარი დემოკრატიით, ინსტიტუციებითა და ეკონომიკით. მათ უნდა მოუნდეთ ისევ ჩვენთან ერთად ცხოვრება. ასე რომ, ჩვენ არა ტერიტორიების, არამედ ჩვენ ხალხთან ურთიერთობის აღდგენაზე უნდა ვილაპარაკოთ“.**

თბილისის საკრებულოში მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია იმუშავებს

1 სექტემბრიდან მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია თბილისის მერიის ნაცვლად, თბილისის საკრებულოში იმუშავებს.

მერიის ინფორმაციით, შეიცვლება კომისიის შემადგენლობა და მას უმრავლესობიდან დანიშნული საკრებულოს წევრი უხელმძღვანელებს.

მათივე ინფორმაციით, 2007 წლიდან ამოქმედდა კანონი, რომლითაც შესაძლებელი გახდა მრავალი წლის განმავლობაში პირების ფაქტიურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მათ საკუთრებად იურიდიულად გაფორმებულიყო. ამით მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, ეს ქონება სრულად გამოეყენებინათ ეკონომიკური საქმიანობისთვის, რაც საჯარო რეესტრში გაუფორმებლობის გამო მანამდე შეუძლებელი იყო.

თბილისის მერიის ინფორმაციით, კანონის ამოქმედებიდან დღემდე ეს კომისია ფუნქციონირებდა თბილისის მერიაში. 2007-2013 წლებში კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 8 000-მდე განცხადება, დაკანონდა თითქმის 5 მილიონი კვ.მ მიწის ნაკვეთი: **„საქმიანობის განმავლობაში, კომისია მოქალაქეებისთვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის პროცესის გაიოლების მიზნით, არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი იყო, მათ შორის 2010 წელს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად სოციალურად დაუცველი მოქალაქეები გათავისუფლდნენ შესაბამისი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, რითაც ამ პერიოდში უკვე ისარგებლა 716 მოქალაქემ, რომელთაც უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში მიწის ნაკვეთები. მუდმივად უმჯობესდებოდა მოქალაქეთა მომსახურების ხარისხიც. მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მოქალაქეებს შეეძლოთ ესარგებლათ კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურებით, რის შემდეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა, მაგ: 2008-2009 წლებში დადებითად წყდებოდა განცხადებების 40%-ზე ნაკლები, ხოლო 2013 წელს — დაკმაყოფილდა განცხადებების 60%-ზე მეტი“.**

წელს 28 401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა

წელს 28 401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, გამოცდებში 42 ათასამდე აბიტურიენტი მონაწილეობდა, რომელთაგან დაახლოებით 13 700 აბიტურიენტმა არსებული ბარიერი ვერ გადალახა და ჩაიჭრა.

მისივე თქმით, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში ყველაზე მეტი აბიტურიენტი წელს გახდა სტუდენტი, კერძოდ, 28 401-მა აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები, იმ დროს, როდესაც წინა წლებში მათი რაოდენობა დაახლოებით, 24 ათასი იყო.

ამასთან, მიმინოშვილის ინფორმაციით, დაახლოებით 9 ათასამდე სტუდენტმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება, აქედან ასპროცენტიანი დაფინანსება დაახლოებით, 4 500 სტუდენტს ექნება.

ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, წელს პირველად ყველაზე რეიტინგული უმაღლესი სასწავლებელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები (ჩარიცხულთა სიები) 26 აგვისტოს გამოქვეყნდა. მუშაობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზიც — 247 33 33. ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება მოკლე ტექსტური შეტყობინებითაც. ამისთვის აპლიკანტმა მობილური ტელეფონიდან (მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი) საკუთარი საგამოცდო საიდენტიფიკაციო ნომერი (ბარათზე წითლად მითითებული) უნდა გაგზავნოს ნომერზე 93333.

„ინტერპრესნიუსი“

სურსათის ეროვნული სააგენტო სკანდალური სტატისტიკა

დაიხურება თუ არა „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარე ე.წ. გვირაბი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საქართველოში მომხმარებლის უფლებები სათანადოდ დაცული რომ არ არის, ამაზე „ვერსია“ არაერთხელ წერდა. მარკეტებში გაყიდული პროდუქტების ხარისხი ხშირად ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. სურსათის უვნებლობის სამსახური ,ჯერჯერობით, მეხანძრის ფუნქციას ასრულებს და მოქალაქეთა კონკრეტულ საჩივრებზე რეაგირებს — სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ბოლო დღეებში ხორცისა და თევზის ორი საწარმო დახურეს და თბილისის საწარმოებში მორიგი გეგმური ინსპექტირება განახორციელეს. „ვერსია“ ამჯერად სწორედ ამ შემოწმების შედეგებსა და დეტალებზე გიამბობთ:

„საწარმოებისთვის, რომლებშიც არაკრიტიკული შეუსაბამობა აღმოჩნდა, გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები და ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაწესდა კონკრეტული ვადები, ხოლო ორს — შპს „ბაბილონსა“ (თევზი და თევზის პროდუქტის გადამამუშავებელი წარმოება) და შპს „XXI+ერისთავს“ (ხორცის პროდუქტის რეალიზაცია) შეუჩერდა საწარმოო პროცესი და 1000-1000 ლარით დაჯარიმდა. მათ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე მუშაობის გაგრძელების უფლება არა აქვთ“.

სააგენტოს წარმომადგენლებმა წინამძღვრიშვილის ქ. №135-ში არსებული აგრარული ბაზრის („დეზერტირები 2012“) ხორცის სექციაში ჯანმრთელობისთვის საშიში სურსათის რეალიზაციის ფაქტიც გამოავლინეს. სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქე, რომელმაც საქონლის ხორცი აღნიშნულ სექციაში შეიძინა, ჯილეხით დაავადდა და ამჟამად სტაციონარულ მკურნალობას გადის, ხორცი კი კვლევისთვის ლაბორატორიაშია გადაგზავნილი.

„ხორცისა და თევზის ორი საწარმო დახურეს. „დეზერტირებში“ ხორცის რეალიზაცია შეწყვეტილია... „ბარამბოს“ საწყობიდან ვადაგასული არომატიზატორი ამოიღეს, რომელიც ნაყინის წარმოებაში გამოიყენება...“

მოვაჭრის განცხადებით, მან ნავთლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე 15 კგ ხორცი შეიძინა, რომელიც ლაბორატორიის გვერდის ავლით და, შესაბამისად, ფორმა №2-ის გარეშე შეიტანა „დეზერტირები 2012-ში“.

ი/მ „გრიგოლ სარალიძე“, რომელსაც აგრარული ბაზრის ხორცის სექცია იჯარით აქვს აღებული, დაჯარიმდა 1000 ლარით, ხორცის სარეალიზაციო სექციები დაილუქა, „დეზერტირები 2012-ში“ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებამდე ხორცის რეალიზაცია შეწყვეტილია, უახლოეს დღეებში კი, შესაძლოა, „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარე ე.წ. გვირაბიც დაიხუროს.

ასევე, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, გეგმური ინსპექტირებისას, კომპანია „ბარამბოს“ საწყობიდან 25-ლიტრიანი 48 კასრი დანიური წარმოების არომატიზატორი (საკვებდანამატი) ამოიღეს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ნაყინის წარმოებაში. სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პროდუქცია ვადაგასული იყო — ვარგისიანობის ვადა 2011 წელს ამოეწურა და კანონმდებლობის შესაბამისად, განადგურებას ექვემდებარება.

სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა ამოღებული პროდუქცია დალუქეს და უახლოეს დღეებში გაანადგურებენ. სამსახური გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს.

„ვერსიასთან“ საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელი **ზურაბ ფუტკარაძე** აცხადებს, რომ ამ პრობლემატიკაზე მედიაში გაჟღერებული ინფორმაცია ზღვაში წვეთია და უამრავი ობიექტია, რომელიც სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით, ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს: **„მისასალმებელია, რომ ბოლო ხანებში სურსათის ეროვნული სააგენტო რეიდებს აწყობს და არსებულ დარღვევებზე რეაგირებს, მაგრამ თითო-ოროლა ობიექტთან დაკავშირებით გავრცელებული მონაცემები ზღვაში წვეთია. გაცილებით მეტი ობიექტია, რომელიც ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით. შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, წლების განმავლობაში, ეს სამსახური კორუმპირებული იყო და მასზე დაკისრებულ ფუნქციას ვერ ასრულებდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ უწყება საერთოდ გააუქმეს. შემდეგ მიიღეს კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ, მაგრამ მისი ამოქმედება ჯერ 2010, შემდეგ კი, 2011-2012 წლამდე გადაიდო. ამუშავების შემდეგ, ამას ფორმალური ხასიათი ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, აღნიშნულ სამსახურს სრულფასოვნად ემუშავა.**

კანონი 2013 წლიდან ამოქმედდა და იმის გამო, რომ მთელი ეს წლები სამსახური უმოქმედოდ იყო, ამ სფეროში მომუშავე ბიზნესმენებიც მოდუნდნენ. დიდი ხანი, მათ საერთოდ არ ევალებოდათ არსებული წესების დაცვა — შემმოწმებელი, მაკონტროლებელი არ ჰყავდათ და ელემენტარულ სანიტარულ ნორმებსაც არ იცავდნენ. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა სავალალო შედეგებამდე — დღეს გაცილებით მეტი საწარმო ვერ აკმაყოფილებს ნორმებს. კარგია, რომ ამოწმებენ და ყველა მეწარმეს უნდა მიეცეს ვადა დარღვევების აღმოსაფხვრელად, თუმცა მერე უკვე გადამჭრელი ზომები უნდა გატარდეს დამრღვევების წინააღმდეგ და აუცილებლობის შემთხვევაში, საწარმოს საქმიანობაც უნდა შეუჩერდეს. აქ მთავარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაა და ვინც ამას საფრთხის ქვეშ აყენებს, პასუხიც უნდა აგოს“.

სანამ ვითარება მეტ-ნაკლებად გამოსწორდება, ვინ არის პასუხისმგებელი მოქალაქეების ხშირ მოწამვლაზე? ზურაბ ფუტკარაძე ამბობს, რომ ასეთ პროცესებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო და მისი კომპეტენტური ორგანოებია: **„მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც სურსათის კონტროლს არ ახორციელებს, გამონაკლისი, ალბათ, საქართველო იყო — წლების განმავლობაში ამ მიმართულებით აქ არაფერი კეთდებოდა, რამაც უამრავი პრობლემა წარმოშვა და ისინი დღესაც გადაუჭრელია... არადა, მსგავსი რამ არსად ხდება — მართალია, სურსათის უვნებლობის დაცვის სისტემები განსხვავებულია, მაგრამ ყველა ცდილობს, მომხმარებლის უფლებების დაიცვას და საზოგადოებას ჯანმრთელობისთვის უვნებელი პროდუქცია მიაწოდოს.**

კარგად მახსოვს, თავის დროზე ამ სამსახურის გაუქმების ინიციატორი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე იყო. როცა ეკითხებოდნენ, რატომ გააუქმეთ, ხალხი რომ მოიწამლოს, ვინ არის პასუხისმგებელიო, — წავა და სასამართლოში იჩივლებსო, პასუხობდა. ანუ ჯერ უნდა მომკვდარიყო ადამიანი, რომ მერე მისი უფლების დაცვაზე ეზრუნათ. მაშინ სახელმწიფოს ფუნქცია რა არის, თუ არა მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვა? ასეთი მიდგომა ჰქონდა ბატონ ბენდუქიძეს და, ზოგადად, ძველ ხელისუფლებას... შედეგად, დარღვევები მასობრივი გახდა. არადა, სახელმწიფო და სურსათის უვნებლობის სამსახური მთავარი პასუხისმგებელია ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე. მართალია, რთული მდგომარეობის გამო, ჯერჯერობით, იმ ობიექტებს ამოწმებენ, საიდანაც მოქალაქეთა კონკრეტული საჩივრები შედის. ზოგი მოიწამლა, ზოგმა გაფუჭებული პროდუქტი შეიძინა, დააფიქსირა და სამსახურს ფაქტები დაუდეს... ამიტომ სამსახურს გაათმაგებული მუშაობა მართებს, რათა სურსათის უვნებლობის სტანდარტები დაცული იყოს და არსებული სავალალო მდგომარეობა გამოსწორდეს“.

ამ სფეროში ვითარება მართლაც საგანგაშოა და ამაზე აღარავინ დავობს... მეტიც — სტატიაში არაფერია ნათქვამი ქსელში გავრცელებულ კვერცხზე, რომელიც არავინ უწყის, საიდან შემოდის და გასაღების რა ვადებზეა გათვლილი, თუმცა მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად გაკეთებულმა „ბიზნესმა“ არავის უნდა მოუტანოს სარგებელი. დროა, ამ სფეროში წესრიგი დამყარდეს, თორემ ხვალ-ზეგ ნებისმიერი მოქალაქის ჯანმრთელობა და სიცოცხლეც შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს.

ნატო-მ უნდა მიიღოს საქართველო თავის რიგებში

მაიკლ ჩეჩირე

ნატო-ს გაფართოების ირგვლივ მიმდინარე დავებს შორის, ყველაზე საინტერესოა ის, თუ როგორ ცდილობენ ნატო-ს მოწინააღმდეგეები საკუთარი დასკვნების ფორმულირებას. დასკვნებისა, რომელიც ეხება იმას, თუ რატომ ეწინააღმდეგება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება ორგანიზაციის მიზნებს, რომლის პრაქტიკული ღირებულების განსაზღვრა აშკარად არ შეუძლიათ. არ არის გასაკვირი, რომ ამ რიტორიკულ ტანვარჯიშს, როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის არასწორი ინტერპრეტაცია მოსდევს, რადგან ასეთი წინააღმდეგობების გადაწყვეტა საკმაოდ რთულია. სწორედ ასე მოხდა კატონის უნივერსიტეტის თანამშრომლის დუგ ბენდოუს შემთხვევაში, რომელმაც National Interest-ში გამოქვეყნებულ თავის სტატიაში ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივები გააპროტესტა.

მოიყვანა რა ფრაგმენტი ჩემი სტატიიდან, რომელიც აპრილში World Politics Review-ში გამოქვეყნდა, ბენდოუმ რატომღაც დაასკვნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია ადასტურებს, თითქოს ნატო-ს უსაფრთხოების გარანტიები თბილისს იაფი დაუჯდება. სინამდვილეში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმები მიმართულია იქით, რომ ამ ქვეყანამ საკუთარი საზღვრების დაცვა შეძლოს. შეიარაღებული ძალები, რომლის საფუძველიც წვევამდელები და მძიმე შეიარაღებაა, პოსტსაბჭოთა ეპოქის გადმონაშთია, როგორც ბენდოუ ხშირად უწოდებს ხოლმე ნატო-ს. ამ ქაოტურ სისტემაზე უარის თქმა პროფესიული, მობილური და დასავლური სტანდარტებით გაწვრთნილი არმიის სასარგებლოდ, რომელიც გამობრძმედილი იქნება ერაყისა და ავღანეთის ჰელმანდის პროვინციის ბრძოლებში, საქართველოსთვის ტერიტორიული უსაფრთხოების გაზრდის შანსია. საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო. ეს ზოგიერთებს აფიქრებინებს, რომ ამ მისიის პრაქტიკული ღირებულების ეჭვქვეშ დაყენება აუცილებელია (თუმცა ასეთები ბევრნი არ არიან). ეს, ჩანს, უფრო მიუთითებს — საქართველო იმედგაცრუებულია იმით, რომ ნატო არ ჩქარობს ამ ქვეყნის სერიოზული დამსახურების და მსხვერპლის აღიარებას. 2013 წლის ივლისში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 73% მხარს უჭერს ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას, ხოლო 73% – ევროკავშირში. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც სურს ევროატლანტიკური თანამეგობრობის წევრობა.

ბენდოუს დასკვნების საპირისპიროდ, არსებობს აშშ-ს ინტერესებზე ორიენტირებული მთელი რიგი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ საქართველო ნატო-ში უნდა მიიღონ. ჯერ ერთი, ლიბერალური, მკაცრ ნორმებზე დაფუძნებული სისტემის აღმოსავლეთით გავრცელება აშშ-ს მხოლოდ აწყობს, რადგან ის კიდევ უფრო დაცული და მდიდარი გახდება, თუკი მისი შეხედულებები მთელ მსოფლიოში გავრცელდება. მიუხედავად ევროატლანტიკური ინსტიტუტების რიგი ხარვეზებისა, ნატო-სა და ევროკავშირის მსგავსი ბლოკები ამ პროგრამის ევრაზიაში გავრცელების ყველაზე დამაჯერებელი და წარმატებული ინსტრუმენტებია.

ნატო-ს კრიტიკოსები, როგორიც ბენდოუა, ამ ორგანიზაციას მიზნის არარსებობაში ადანაშაულებენ, რომელიც მან თითქოს საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაკარგა. ისინი უარს ამბობენ აღიარონ, რომ ნატო-ს წარმატება ცივ ომში არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკურ-სოციალურიც იყო. მართალია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უდავოდ იყო საბჭოთა იმპერიალიზმისგან დამცავი მძლავრი სამხედრო იარაღი, თუმცა ის არანაკლებ წარმოადგენდა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც სწამდა და ხელს უწყობდა საერთო ევროატლანტიკური დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას (თუმცა, ამას ყოველთვის უზადოდ ვერ აკეთებდა). საბჭოთა კავშირი აღარ არის, მაგრამ ავტორიტარული ძალები კვლავ მოქმედებენ და, გარკვეული თვალსაზრისით, ისინი პოზიციებსაც იძლიერებენ.

შუა აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის ექსპერტი მამუკა წერეთელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ბედისწერა სერიოზულ გავლენას მოახდენს მის მეზობლებზე კავკასიის, შავი ზღვის და კასპიის რეგიონებში. მოდერნიზაციისა და ლიბერალური მომავლის მხარდამჭერები ამ რეგიონებში ყურადღებით აკვირდებიან საქართველოს მცდელობას, მიაღწიოს ბლოკში ინტეგრაციას. თუკი საქართველო, რომელიც დღეს პოლიტიკური განვითარების პოზიტიურ ტრაექტორიას უბრუნდება და ძალას არ იშურებს რეგიონში ურთიერთობების სტაბილიზირებისთვის, ამ კლუბში ვერ მოხვდება, სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცევა დემოკრატიზაციისთვის, ასევე თანამშრომლობისთვის ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროებში.

ეს შტატებისა და ევროპის ინტერესებზე მძლავრი დარტყმა იქნება. კავკასიაში ენერგეტიკული მარშრუტები გადის, რომლის საშუალებითაც ენერგორესურსები დასავლეთს მიეწოდება მოსკოვის გვერდის ავლით. კავკასიური ნახშირწყალბადით მომარაგების მნიშვნელობა ზოგჯერ გადაჭარბებულია, მაგრამ ამ ალტერნატიული მარშრუტების შენარჩუნებას გარკვეული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ნებისმიერი ეკონომიკის სიჯანსაღე ენერგორესურსებით მომარაგებაზეა დამოკიდებული. რუსეთის მიერ მონოპოლიზებული ევროპული ენერგეტიკული სექტორი პერსპექტივაში შეიძლება გახდეს მოსკოვის შეუზღუდავი გეოპოლიტიკური გავლენის წყარო კონტინენტზე, რომელთანაც აშშ-ს მჭიდრო ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებს.

რუსეთ-უკრაინის ბოლოდროინდელი ენერგეტიკული ომების გათვალისწინებით, რომლის პროვოცირებაც, ჩანს, იმან მოახდინა, რომ კიევმა ევროკავშირის სტრუქტურები არჩია მოსკოვთან კავშირებს. მსგავსი, დამატებითი მარშრუტების არსებობა, დიდწილად, ამცირებს ანალოგიური საფრთხეების წარმოქმნის რისკს. საეჭვოა, კავკასიურმა ენერგეტიკულმა დერეფნებმა რუსეთს ენერგეტიკის სფეროში უპირატესობა დააკარგვინოს, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში, ის დაეხმარება ევროპას, სული მოითქვას, რათა იმედისმომცემი და ნაკლებად ტრადიციული სცენარები შეისწავლოს.

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ამერიკის ნაციონალური ინტერესების სიაში იმ დღეს მოხვდა, როდესაც 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატო-ს წევრები თბილისს დაპირდნენ, რომ ადრე თუ გვიან, ის ალიანსის წევრი გახდებოდა. ასეთ მრავალმხრივ დაპირებაზე უარის თქმა, არა მხოლოდ საფრთხეს შეუქმნის პროდასავლურ ძალებს მთელ მსოფლიოში, არამედ უამრავ შეკითხვას გააჩენს ნატო-სა და შეერთებული შტატების საერთაშორისო ვალდებულებებისადმი სერიოზულ დამოკიდებულებაზე. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, დღეს ნატო ვალდებულია, აჩვენოს საქართველოს, კონკრეტულად, როგორ უნდა გახდეს ის ბლოკის წევრი.

თუკი თბილისი გამოავლენს შეთანხმების საკუთარი ნაწილის შესრულების უნარს, რომელიც გულისხმობს ქართული საზოგადოების დემოკრატიზაციას და რუსეთთან და სეპარატისტულ რეგიონებთან კონფლიქტის მოგვარების სერიოზულ მცდელობას, მაშინ უარის თქმა თბილისის ალიანსში მიღებაზე საკმაოდ ლეგიტიმური გადაწყვეტილება იქნება. სხვა შემთხვევაში, საქართველოს უნდა მიეცეს ალიანსის წევრობის შესაძლებლობა.

ჯერჯერობით, საქართველო წინ მიიწევს. თბილისის სამხედრო რეფორმა და სულ უფრო გაწონასწორებული ურთიერთობები რუსეთთან, ერთდროულად ზრდის როგორც საქართველოს თავდაცვით სიძლიერეს, ასევე მკვეთრად ამცირებს კონფლიქტის ხელახლა წარმოქმნის რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან დაზარალდა რუსეთისგან 2008 წელს, დღეს მოსკოვს უფრო ნაკლები გავლენა აქვს შავი ზღვის რეგიონზე. განსხვავებით წარსული რეპუტაციისგან, დღეს საქართველო ერთგვარი მასტაბილიზირებელი ძალაა ამ არეულ რეგიონში. მას მჭიდრო კავშირები აქვს თურქეთთან, უსაფრთხო ადგილია აზერბაიჯანელებისა და სომხების თანამშრომლობისთვის, ხოლო მისი პრაგმატული წინადადებები, რომლის მიზანიც რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა, ჩანს, უკვე ისხამს ნაყოფს, მიუხედავად პერიოდული პროვოკაციებისა.

პირიქით, წარსულში საქართველოს უკანონო ქმედებები არა მხოლოდ მიზეზი იყო შიდა არასტაბილურობის ზრდისთვის, არამედ უშუალოდ უწყობდა ხელს ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას 1990-იან წლებში, ეხმარებოდა რუსეთს, ეწარმოებინა ძირგამომთხრელი საქმიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში, მოამზადა ნიადაგი 2008 წლის ომისთვის და ეს რეგიონი გადააქცია სატრანზიტო მარშრუტად ნარკოტიკებით მოვაჭრეებისა და ბირთვული ნივთიერებებით მომმარაგებლებისთვის. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება შემდგომშიც ხელს შეუწყობს მისი მასტაბილიზირებელი გავლენის განმტკიცებას.

ლიბერტარიანელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, თუმცა ნაციონალური ინტერესების შეზღუდული ინტერპრეტაცია, რომელიც ახასიათებს ინსტიტუციონალური ლიბერტარიანელობის საგარეო პოლიტიკურ დისკურსს, არაეფექტურია. მონაწილეობა სულაც არ ნიშნავს სრულ ჩართულობას, ხოლო ძალის მიღწევა მილიტარიზმის ჩარჩოებსმიღმაც შეიძლება. ამიტომ რბილი მოწოდებები თავისუფლებისაკენ მთელ მსოფლიოში, არ უნდა იყოს აღქმული თავისუფლების საფრთხედ საკუთარ ქვეყანაში.

საქართველოს ახალი ლიდერი დასავლეთს ანერვიულებს

როდესაც ბანკში 6 მილიარდი დოლარი გაქვს, იოლია ილაპარაკო ის, რასაც ფიქრობ, მაგრამ საქართველოს მილიარდერი ახალბედა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უფრო წინდახედული უნდა იყოს.

კაცმა, რომელმაც საქართველოში დაბრუნებამდე თავისი ქონება რუსეთში დააგროვა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ თავის ბრაზიან კოალიციასთან ერთად, შარშან პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური პარტია დაამარცხა.

ზოგიერთი დასავლური მთავრობა შიშობს, რომ ივანიშვილს სურს ქვეყნის უკან, რუსეთის ორბიტაზე დაბრუნება. თუმცა, თავად აცხადებს, რომ მეგობრობა უნდა დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც და დღემდე სურს, რომ საქართველო ევროკავშირის და ნატო-ს წევრი გახდეს.

იმავდროულად, მისი მთავრობა კორუფციის ბრალდებით სააკაშვილის ათობით ჩინოვნიკს აპატიმრებს. მან განაცხადა, რომ თავად სააკაშვილსაც შეიძლება იგივე ბედი ეწიოს იმ ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის, რომელიც „კორუფციაში იხრჩობოდა“. შეერთებულმა შტატებმა უკვე ღიად გამოხატა შეშფოთება საქართველოში მიმდინარე დაპატიმრებების გამო.

თუკი ის სერიოზულად ფიქრობს დასავლეთთან ურთიერთობების შენარჩუნებაზე, მაშინ უნდა შეწყვიტოს სასამართლოს გამოყენება ოპონენტების გასაჩუმებლად. შესაძლოა, ასეთი ლაპარაკით მან მოსკოვის გული მოიგოს, მაგრამ დასავლურ დედაქალაქებს ამ საკითხზე შეიძლება სხვა შეხედულებები გაუჩნდეთ.

ჯიმ არმიტიჯი

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

3			9				6	
			5			4	7	
7		4	8				2	
	4			2				8
			6	8	5			
1				9			5	
	6				4	5		2
	3	1			8			
	2				9			3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		8		2	1			
1	7			5			2	
		2	8				9	
			3		9	8	7	
				8				
	6	7	5		2			
	4				8	7		
	9			3			8	5
			2	7		4		

ᲠᲗᲣᲚᲘ

5		8	3			1		
	9			7	1		6	
		7	9	6				
8						2		
			1		3			
		4						8
				1	7	9		
	4		5	9			3	
		9			4	7		5

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

					1			
7			4	9		6		
	9	8	7					
				4			8	6
2		6				5		3
4	1			5				
					7	9	2	
		7		3	2			5
			9					



1. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
2. მესამე შესაძლებლობის არარსებობა
3. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი
4. ფრანგი მომღერალი და კომპოზიტორი
5. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
6. კერძო მასწავლებელი
7. კუზიანი ხარი
8. იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი
9. სპექტაკლზე ან კონცერტზე დამსწრე საზოგადოება
10. უსიტყვო როლების შემსრულებელ მსახიობი
11. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
12. აზნაურის ტიტული ესპანეთში
13. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
14. ესპანელი რევოლუციონერი ქალი
15. მტაცებ. ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან
16. ნორვეგიის დედაქალაქი
17. მიმართვა სკანდინავიელი ქალისადმი
18. სპილბერგის უცხოპლანეტელი
19. სამაგიდო თამაში
20. ნარკოტიკის გამყიდველი (ჟარგ.)
21. ესპანეთის საკურორტო კუნძული
22. აბზინდის არაყი
23. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
24. გალაკტიონის გემი
25. „..., ვითარცა უხორცო“
26. კორნეი ჩუკოვსკის ვეტერინარი
27. ოფიცრის ჩინი საზღვაო ფლოტში
28. ესპანური წყვილთა ცეკვა
29. ფრონტის ხაზის გასწვრივ გამავალი გზა
30. ცხელი მატონიზირებელი სასმელი
31. „სამნიშვნელის დედინაცვლის“ ავტორი
32. აკრობატული ნახტომი სალტო- ...
33. ბარსელონას ოპერის თეატრი
34. მუშნი ზარანდიას მამის სახელი
35. ქარიშხალი ზღვაზე
36. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
37. დიონისეს აღმზრდელი
38. მეტირალა ქვად ქცეული პერსონაჟი ბერძნ. მით.
39. ოდისევსის შვილის აღმზრდელი
40. ადვილი, მარტივი
41. აშშ-ის შტატი
42. საქონლის წონა ჭურჭლიანად
43. სტალონეს შინაურული სახელი
44. ტროპიკული ხვიარა მცენარე
45. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
46. იგივეა, რაც სასტუმრო
47. პატარა საწნა-სელი
48. ბადე ბილიარდის მაგიდის კიდეზე
49. საბჭოთა ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი
50. ღმერთ იაჰვეს აღმნიშვნელი სიტყვა იუდაიზმში
51. ბისმარკის სახელი
52. ადამიანის ხასიათი, ბუნება, თვისება
53. ნ. დუმბაძის „მე, ..., ილიკო და ილარიონი“
54. მაუგლის მეგობარი დათვი
55. მზის ღმერთი ინკების მითოლოგ.
56. ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-...
57. ბავშვის ან ქალის დაბალი ხმა
58. „ქალაქი ანარას“ რეჟისორი
59. სოფელი სენაკის რაიონში
60. სპორტული ნაწარმის ფირმა

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	1	9	8	7	5	6	4	3
6	5	3	9	4	1	7	2	8
8	7	4	3	6	2	1	5	9
4	6	5	2	3	8	9	7	1
3	8	2	1	9	7	5	6	4
1	9	7	6	5	4	3	8	2
9	4	1	7	8	6	2	3	5
7	3	8	5	2	9	4	1	6
5	2	6	4	1	3	8	9	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	9	1	3	5	2	7	6	4
4	3	7	1	9	6	5	8	2
6	2	5	4	8	7	1	3	9
1	7	3	6	2	8	4	9	5
5	8	4	9	3	1	2	7	6
9	6	2	7	4	5	3	1	8
7	4	6	2	1	9	8	5	3
3	5	9	8	7	4	6	2	1
2	1	8	5	6	3	9	4	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	6	8	7	5	4	2	1	9
2	7	9	8	1	6	5	4	3
5	1	4	3	2	9	8	7	6
1	3	7	4	6	8	9	2	5
9	5	6	2	7	3	4	8	1
8	4	2	1	9	5	3	6	7
7	9	5	6	4	2	1	3	8
6	2	3	5	8	1	7	9	4
4	8	1	9	3	7	6	5	2

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

2	1	3	9	8	5	7	6	4
8	7	6	2	4	3	5	1	9
4	9	5	1	7	6	3	2	8
7	6	2	5	9	1	4	8	3
1	8	4	6	3	7	9	5	2
5	3	9	8	2	4	1	7	6
3	5	1	4	6	2	8	9	7
6	4	8	7	1	9	2	3	5
9	2	7	3	5	8	6	4	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	5	8	4	7	3	6	2	1
7	4	3	1	6	2	9	8	5
1	2	6	9	8	5	7	4	3
4	3	2	8	5	7	1	9	6
8	1	9	3	4	6	2	5	7
6	7	5	2	1	9	4	3	8
5	9	4	7	3	1	8	6	2
3	8	1	6	2	4	5	7	9
2	6	7	5	9	8	3	1	4

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

8	2	7	1	6	5	9	4	3
3	1	9	7	8	4	6	2	5
5	4	6	3	9	2	1	8	7
2	7	4	5	1	3	8	9	6
1	3	8	6	7	9	4	5	2
6	9	5	2	4	8	7	3	1
9	6	3	8	5	7	2	1	4
7	8	2	4	3	1	5	6	9
4	5	1	9	2	6	3	7	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	5	8	4	2	6	1	3	9
6	4	2	9	3	1	8	7	5
9	3	1	8	7	5	6	4	2
8	2	4	1	5	7	9	6	3
5	6	3	2	4	9	7	1	8
1	9	7	6	8	3	5	2	4
4	1	6	5	9	2	3	8	7
3	8	5	7	6	4	2	9	1
2	7	9	3	1	8	4	5	6

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

1	8	9	4	7	6	5	3	2
7	4	6	5	3	2	1	9	8
5	3	2	9	1	8	7	4	6
3	9	8	2	6	7	4	5	1
6	1	5	8	4	3	2	7	9
4	2	7	1	9	5	8	6	3
9	7	4	6	8	1	3	2	5
2	6	1	3	5	4	9	8	7
8	5	3	7	2	9	6	1	4

მე-12 გვერდი: 1. დიპლოპია; 2. ალავერდი; 3. ინფაიტინგი; 4. ეგვტერი; 5. ქორეოგრაფია; 6. ბონბონიერი; 7. პკე; 8. რქა; 9. კეა; 10. ვეა; 11. დასი; 12. მე; 13. ფსი; 14. აგუნა; 15. ბეზრუკოვი; 16. ზიკურათი; 17. უკრაინა; 18. ორგანო; 19. ფოლიანტი; 20. ალი; 21. ანტუანეტა; 22. ბრატისლავა; 23. ნიკარაგუა; 24. რაიონი; 25. იონი; 26. ოლქი; 27. იაშინი; 28. სირიუსი; 29. ანოა; 30. რაინდი; 31. ქსანი; 32. ასალი; 33. ური; 34. ოქრო; 35. რეკორდი; 36. ქართლისა; 37. კივუ; 38. სოკო; 39. ქექია; 40. სარმა; 41. ავგური; 42. ნეი; 43. რუკა; 44. ლარი; 45. ინდი; 46. კაცი; 47. ყია; 48. სიო; 49. ნილსი; 50. ჭაჭა; 51. ჭყვიში; 52. სოტბი; 53. ფორმატი; 54. ხვალ; 55. ტაქსა; 56. ოდოია; 57. მინდია; 58. სამბო; 59. კრიჭა; 60. ხვიჩა; 61. მიკა; 62. ასთაკვი.

მე-13 გვერდი: 1. ბალატონი; 2. ბლიცი; 3. ოაზისი; 4. კოლაბორაციონიზმი; 5. ტრიფონი; 6. ნიშადური; 7. შალიაპინი; 8. სერ; 9. საინი; 10. ფლამინგო; 11. ინი; 12. ნიუ; 13. დაცანი; 14. უილ; 15. უოლესი; 16. სპინოზა; 17. ლი; 18. „ნაუტილუსი“; 19. აის; 20. უნგარო; 21. სუნა; 22. სინიაკი; 23. ციკლოპი; 24. ბახალა; 25. „ხაზარულა“; 26. ლუანდა; 27. „რიენცი“; 28. გორა; 29. კასიოპეა; 30. გაუტამა; 31. მენი; 32. როზმარინი; 33. ნისია; 34. ია; 35. უპე; 36. მილნი; 37. სოს; 38. ოლე; 39. „ნიკორა“; 40. პორცელანი; 41. „ცეროდენა“; 42. ანაკონდა; 43. დუნაი; 44. დევიზი; 45. ვალკირია; 46. ცვილი; 47. დიეგო; 48. ტულა; 49. ფა; 50. ფისი; 51. ორლი; 52. აიალა; 53. უნია; 54. ავანსი; 55. სმერჩი; 56. ოხერი; 57. საკე; 58. ტირე; 59. იანკი; 60. მარალი; 61. ტარო; 62. მია; 63. მეგრე; 64. მიხაკი; 65. ირი; 66. მენიუ; 67. ანატომია; 68. იგი; 69. რადა; 70. რარიტეტი; 71. ბატიკა; 72. ლიტი; 73. აბელი; 74. „განდაგანა“; 75. ლიანგი.

1. ერთი მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა
2. ქვის ფილებით დაგებული გზა
3. სპორტის სახეობა
4. ინერტული აირი
5. იგივეა, რაც არჩევი
6. გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი
7. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი დამსურათებელი
8. რბილი სასის უკანა წაგრძელებული ნაწილი
9. შენობა თეატრალური წარმოდგენებისთვის ძვ. საბერძნ.
10. მედლის უკანა მხარე
11. ორნახშირმჟავა ნატრიუმი
12. ქართული ხალხური „პამპერსი“
13.„თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი
14. მდინარე შუა აზიაში
15. თვალის ფერადი გარსი
16.სამეურნეო მუშაკი
17. კათოლიკური წირვა
18. თოვლის ჯიქი
19. წმინდა მოგება ძიუდოში
20. მსუბუქი თვლემა
21. შალის ქსოვილი ერთგვარი
22. დიდი ფრანგი მწერალი
23. დეკორატიული ბუჩქოვანი მცენარე
24. ქალაქი პოლონეთში
25. ქალის საცურაო კოსტიუმზე შემოსაბმელი ქსოვილი
26. იოგას ერთ-ერთი საფეხური
27. წიწვოვან მცენარეთა ყვავილედი
28. ვაჟაფშაველას დედის გვარი
29.ინდოეთში გადახვეწილი რუსი მხატვარი
30.სიდიდით მეორე ქალაქი ჩეხეთში
31. ჭადრაკის „წინააპარი“
32. შიკრიკის ძველქართული სახელი
33. ტბა თბილისის მახლობლად
34. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
35. საბერძნეთის ყველაზე დიდი კუნძული
36. თუთიყუშის სახეობა
37.წყლის საზიდი ყურიანი ჭურჭელი ძვ. საბერძ.
38.შიშველი სხეულის გამოსახვა ფერწერაში
39.ყველაზე მაღალმთიანი სოფელი ევროპაში
40. ბერძნული ანბანის ასო
41. კატის ნაშიერი
42.რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი
43. ჰექტრის შემოკლებული აღნიშვნა
44. მაღალი და მსხვილი ბალახი
45.რომის ერთ-ერთი ბორცვი
46.მიტროპოლიტის, კათალიკოსის, ეპისკოპოსის ზოგ.სახელი
47. დეფაქტო და დე-...
48.წყლის მცენარე ვიქტორია-...
49. ერთგვარი დიდი ხვლიკი
50. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი
51. მარტოხელა, უთვისტომო
52. საქართველოს დედოფალი
53. რძიანი ყავა
54. ადამიანის ბიოველი
55.სარწყავად გაჭრილი პატარა არხი
56. მახარკალის საფეხბურთო კლუბი
57. „ოტელოს“ ვერაგი პერსონაჟი
58.ათენის საფეხბურთო კლუბი
59. ცნობილი ფრანგი პოეტი
60. საქართველოს თავდაცვის მინისტრი
61. რომელიმე ენის სიტყვათა მარაგი
62.„აწიე!“ დოკერების სლენგზე
63.ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
64. მდინარე პოლონეთის დედაქალაქში
65. სანთლისმაგვარი ნივთიერება
66. იაპონური მულტიპლიკაცია
67. ანტილოპას სახეობა
68. ქალაქი ...-ანჟელესი
69.ცომის ასაფეხეკი პატარა ნიჩაბი
70.ქალაქი სამხრეთ საქართველოში
71. სამოას დედაქალაქი
72. ყურძნის მცენარე
73.მაუგლის ლიტერატურული „მამა“
74. თმის მცენარეული საღებავი
75. საქართველოს ექსპრემიერი
76. საბერძნეთის პოლიტიკური პოლიციის სახელწოდება
77. დიზაინერი კაროლინა ...
78. სახელგანთქმული ამერიკელი მოცურავე, გინესის რეკორდსმენი
79. შექსპირის „მეფე ...“
80.იაპონიის ყველაზე დიდი კუნძული
81. ისრაელის წარმოების ავტომატი
82.ადამიანის თავის უკანა ქვედა ნაწილი
83.ფრანგი ფეხბურთელი ... კანტონა
84. ტოგოს დედაქალაქი

ვიზუალური მხარე საჭმლის გემოზე აისახება

სპეციალისტებმა ადამიანის ორგანიზმის მეტად საოცარი უნარი აღმოაჩინეს. თუ თვალს არ მოაშორებთ დიდი რაოდენობით ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებს, მაგალითად, პიცას, თქვენი საკვები ყველაზე გემრიელი მოგეჩვენებათ. ექსპერიმენტმა, რომელიც სწავლულებმა ჩაატარეს, აჩვენა, რომ ვიზუალური ინფორმაცია აუმჯობესებს საჭმლის გემოს. ზოგჯერ ადამიანს მხოლოდ ფოტოზე შეხედვაც ჰყოფნის, რომ განსაზღვროს, რა გემობრივი მახასიათებლები აქვს ამა თუ იმ პროდუქტს,. მეცნიერების კვლევებმა დაადასტურა, რომ იმ საკვების გამოსახულება, რომელიც უფრო მეტ ნახშირწყლებს შეიცავს, მნიშვნელოვნად ზრდის მისგან მიღებული კმაყოფილების დონეს.

ჰოროსკოპი 28 აგვისტო

ვერძი — სიფრთხილით მოეკიდეთ დღეს მიღებულ ინფორმაციას. პრობლემების მოგვარებაში ახლობლები დაგეხმარებიან, მათი თანადგომისა და მხარდაჭერის იმედი გქონდეთ. თუ დღის ბოლოს ქალაქიდან გამგზავრებას გადაწყვეტთ, ფრთხილად იყავით და ყურადღება არ მოადუნოთ.

კურო — დღეს უამრავი იდეა გაგიჩნდებათ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ისინი მცდარი მიმართულებით წაგიყვანთ და საბოლოოდ წაგებული აღმოჩნდებით. მეტი მოთმინება გამოიჩინეთ და მშვიდად იყავით.

ტყუპები — საკუთარი თავის დღეს თავადაც არ გესმით და ამაზე გარშემომყოფებს ნუ მოსთხოვთ პასუხს. სჯობს, ისეთი ადამიანი მოძებნოთ, ვინც მოგისმენთ.

კირჩხიბი — დღეს თამამად შეგიძლიათ რისკზე წასვლა, ახალი გეგმების განხორციელებას შეუდექით, თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი დღეს საკმაოდ მაღალია და თქვენც ადვილად მიაღწევთ დასახულ მიზნებს.

ლომი — რა საქმესაც უნდა მოკიდოთ ხელი, დღეს ყველაფერი გამოგივათ და წარმატებაც გარანტირებული გექნებათ. ახლოვდება პერიოდი, როცა დასახულ მიზნებს ერთდროულად რამდენიმე სფეროში მიაღწევთ.

ქალწული — ყველაფერი, რასაც დღეს ხელს მოკიდებთ და გააკეთებთ, არასერიოზულია. ასე რომ, ამასთან დაკავშირებით განცდებში ნუ ჩავარდებით. უკეთესი იქნება, დღე მეგობრების წრეში მხიარულად გაატაროთ.

სასწორი — დღეს საშუალება მოგეცემათ, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. ადვილად შეძლებთ საპირისპირო სქესის მოხიბვლასაც. დღე იდეალურია ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის.

ღრიანკალი — დღე წარმატებული იქნება მათთვის, ვინც შეებულებას ქალაქგარეთ ატარებს. სამსახურში ბევრი სირთულე გელით. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, იყავით მაქსიმალურად მომთმენი და მოთოკეთ ემოციები.

მშვილდოსანი — დღეს ცხოვრება გარანტირებულ წარმატებას გპირდებათ. მაგრამ შეეცადეთ, სიხარულისგან თავბრუ არ დაგეხვეთ, მოვლენებს დინჯად და დაფიქრებით მიუყვეთ და თავი აკონტროლეთ.

თხის რქა — დღე არც ისე დატვირთულია მოვლენებით. წინა პლანზე უფრო პირადი ცხოვრება წამოიწევს. თამამად გადადგეთ ის ნაბიჯი, რაზეც დიდი ხანია ფიქრობთ.

მერწყული — დღეს წარმატება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. მოსალოდნელია საქმიანი შეხვედრები ან მეგობრებთან სატელეფონო საუბარი. სამუშაო დღე მძიმე იქნება, მაგრამ საღამოს ეცადეთ, კარგად დაისვენოთ და დრო სასიამოვნო გარემოში გაატაროთ.

თევზები — დღეს ყველაფერი გამოგივათ, თუკი თავს არ დაზოგავთ და კარგად იმუშავებთ. გადაუჭრელი პრობლემის თაობაზე დღეს ოპტიმალურ და საინტერესო გადაწყვეტილებას მიაგნებთ. სასარგებლო იქნება მეგობრის რჩევაც. მთავარია, არ მოდუნდეთ.

კამერონ დიასი საქმროს ეძებს



პოპულარული ჰოლივუდელი ვარსკვლავი კამერონ დიასი იმ მსახიობთა სიაშია, ვინც თითქმის ყველაფერს ასწრებს — ფილმებში გადაღებას, სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობას, საქველმოქმედო საქმიანობას, მოდურ ჩვენებებზე დასწრებას, თავის მოვლას და ასე შემდეგ. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი, რისთვისაც დიასმა დრო ვერ გამონახა, ეს მეორე ნახევრის პოვნაა. მსახიობს არაერთ ინტერვიუში აღუნიშნავს, რომ მისი „უფლისწული“, ჯერჯერობით, არსად ჩანს, ამიტომ ძალიანაც რომ არ დააგვიანდეს, გადაწყვიტა, დახმარებისთვის მაჭანკალს მიმართოს. ვარსკვლავმა ამ საქმისთვის საკუთარი მეგობარი, ამერიკელი ტელეწამყვანი კერი რიპა შეარჩია. დიასი დარწმუნებულია, რომ ორი შვილის დედა და წარმატებული ჟურნალისტი მისთვის შესაფერის მამაკაცს აუცილებლად იპოვის. რაც შეხება კამერონის მოთხოვნებს, ისინი არც ისეთი „ვარსკვლავურია“. უბრალოდ სურს, რომ მეგობარმა „ცხელი, ათლეტური აღნაგობის ბოიფრენდი“ მოუძებნოს. არ არის აუცილებელი, რომ მდიდარი ან ვარსკვლავური წრის წარმომადგენელი იყოს. როგორც ამბობენ, დიასი საიმედო მამაკაცს ეძებს, რომლის გვერდითაც მთელ ცხოვრებას გაატარებს. დავიღალე უაზრო და არაფრისმომცემი რომანებით, სერიოზული ურთიერთობა მომენატრა. მსურს, ოჯახი და შვილები მყავდეს, — აცხადებს მსახიობი.

შოკოლადი — გულის წამალი?

ამერიკელი სწავლულების განცხადებით, ყოველდღიურად ერთი ფილა შოკოლადის მიღება გულის დაავადებებისა და ინსულტის განვითარების რისკს 39%-ით ამცირებს. მრავალწლიანმა კვლევამ, რომლის პროცესშიც მეცნიერები 35-დან 65 წლამდე ასაკის, დაახლოებით 30 ათას ადამიანს აკვირდებოდნენ, დაადასტურა კვლევის შედეგები კაკაოს პროდუქტის სარგებლობის შესახებ. კაკაოს მარცვლები შეიცავს ფლავანოლებს, რომელიც, როგორც ცნობილია, ზრდის სისხლში აზოტის ჟანგის შემცველობას და აუმჯობესებს სისხლძარღვების ფუნქციონირებას. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ანტიოქსიდანტებისა და კაკაოს მაღალი კონცენტრაციის გამო, შავი შოკოლადი უფრო სასარგებლოა, ვიდრე რძიანი ან თეთრი. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ერთი ნატეხი შოკოლადის მიღებასაც კი შეუძლია ორგანიზმისთვის სარგებლის მოტანა, ხოლო მისი რაოდენობის 6 გრამით გაზრდა მიოკარდის ინფარქტისა და ინსულტის რაოდენობას ყოველ 10 ათას ადამიანზე 85-ით ამცირებს.



ყველაზე ხნიერი სნაიპერი

78 წლის ინდოელი ქალი, ჩანდრა ტომარი მსოფლიოში ყველზე მხცოვან მსროლელად შეიძლება ჩაითვალოს. ასაკის მიუხედავად, ის შესანიშნავად ხედავს და მიზანს არასოდეს აცილებს. ადგილობრივებიც და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებიც — 6 შვილი და 15 შვილიშვილი, ჩანდრას „სნაიპერ“ ბებიას ეძახიან. ინდოეთში, მიზანში სროლის ეროვნულ ჩემპიონატში ის 25-გზის გამარჯვებულია. როცა მსროლელთა კლუბში პირველად მივიდა, მის ირგვლივ მხოლოდ კაცები იყვნენ, თუმცა ახალგაზრდა გოგონამ ძლიერ სქესს პირველივე დღეს დაუმტკიცა, რომ იარაღი მხოლოდ კაცების საქმე არ არის. როცა რევოლვერიდან პირველად გავისროლე, შემეშინდა. თუ მიზანს ფოკუსში მოაქცევ და არ იჩქარებ, ყველაფერი გამოგივა, — ამბობს „სნაიპერი“ ბებია.

ჰოროსკოპი 29 აგვისტო

ვერძი — დღეს ისე არაფერი გაგაღიზიანებთ, როგორც ვიღაცის მიერ გაჟღერებული ჭეშმარიტება. ნებისმიერი ბანალობა სასულელედ და უადგილოდ მოგეჩვენებათ. გარშემომყოფები კი თითქოს განზრახ იქცევიან ასე. ერთადერთი, რაც დღეს ოპტიმიზმით აგავსებთ, საკუთარი ინტელექტია.

კურო — წარმატების მთავარი საიდუმლო უბრალოებაში იმალება. სამწუხაროა, რომ თქვენ სულ სხვაგვარად ფიქრობთ და საქმეს ირთულებთ. ამით კი ვერავითარ სარგებელს ვერ ნახავთ. რაც მთავარია, გარშემომყოფების საქციელს მეტად რთულ ახსნას ნუ მოუძებნით. ყველაფერი გაცილებით მარტივადაა, ვიდრე გეჩვენებათ.

ტყუპები — დღეს ინტელექტუალური გართობა გიტაცებთ, თუმცა თქვენს ირგვლივ ყველაფერი გაცილებით მარტივადაა, ვიდრე გგონიათ. შესაძლოა, რამდენიმე საქმიანი წინადადება მიიღოთ, მაგრამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებისგან აჯობებს, თავი შეიკავოთ.

კირჩხიბი — თუკი გაქვთ სურვილი გარშემომყოფების თვალში პოზიციები გაიმყაროთ და იმიჯი აიმაღლოთ, საამისოდ შესანიშნავი დღეა. შეეცადეთ, საუბარში თქვენი ერუდიციით გაიბრწყინოთ.

ლომი — დღეს თავში განსხვავებული აზრება მოგდით სახლის ან აგარაკის ახლებურად მოწყობის თაობაზე. გეგმები საკმაოდ კონსტრუქციული და გონივრული იქნება, მაგრამ იმდენად ბევრი, რომ მის განხორციელებაზე დრო არ გეყოფათ. დღეს სჯობს ერთ, რომელიმე იდეაზე შეაჩეროთ არჩევანი და ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოთ.

ქალწული — მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიის სიყვარულით არ გამოირჩევით, დღეს უცნაურ და დაუოკებელ სწრაფვას იგრძნობთ ამ მეცნიერების მიმართ.

სასწორი — დღეს იმაზე ფიქრით დაიღლით თავს, როგორ გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. ფაქტია, რომ დასახული გეგმების მაღე განხორციელება არ გამოგივათ, მაგრამ მათი დამახსოვრება მაინც ღირს. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ამ საკითხში ბევრი ფიქრი მაგნებელია. სჯობს იმოქმედოთ.

ღრიანკალი — დღეს ნებისმიერ რთულ ამოცანას მაქსიმალურად მარტივად და ეფექტურად ხსნით. ხოლო თუ ამ რთული ამოცანის ამოხსნა მაშინვე არ მოხერხდა, მასზე გადაბიჯებას და წინ წასვლას ამჯობინებთ. შესაძლოა, ეს არასწორი, მაგრამ გამართლებულია.

მშვილდოსანი — დღე მკაცრად დასახული გეგმის მიხედვით ჩაივლის. საერთოდ, ის ერთგვარ სქემას პგავს — დასახული გეგმებისა და მიზნების მიდწევაში ხელს ვერავინ და ვერაფერი შეგიშლით.

თხის რქა — დღეს უმჯობესია, ოჯველი სიტყვა აკონტროლოთ, რადგან დაუფიქრებელმა ფრაზებმა ,შესაძლოა, საყვარელი ადამიანების წყენა განაპირობოს, ამიტომ სანამ რამეს იტყვით, დაფიქრდით.

მერწყული — შესაძლოა, დღე სხვადასხვა სახის იდეებსა და გეგმებზე ფიქრს მოანდომოთ. აზრთა სხვადასხვაობის გამო შესაძლოა კონფლიქტი მოგივიდეთ, მაგრამ საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ნუ შეეცდებით. მოერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან.

თევზები — დღეს არ ღირს სხვების საზრუნავი საკუთარ თავზე აიღოთ. გარშემომყოფებთან საერთო ენის გამონახვაც გაგიჭირდებათ. სასურველია, ასევე, საქმიანი შეხვედრები სხვა დროისთვის გადადოთ.

სუდოკუ

ადვილი

				9	7		1	
3	2			4			5	
8	9	7						
	4				5			9
5								6
7			2				3	
						5	9	2
	3			7			4	1
	1		6	5				

სტანდარტი

		5					8	7
	2	9		4	7			
			9			4		
		1		2			5	
				5				
	3			9		1		
		3			6			
			5	7		8	2	
7	4					6		

რთული

	8			2		9		5
9		2						
5		3			6			8
		6		8	4			
8		5				6		4
			1	6		8		
6			9			1		7
						4		6
2		8		4			5	

ექსპერტი

	7						8	6
			8			4		
				2	4		7	
		1	9					2
	8			6			5	
6					1	3		
	6		4	8				
		2			9			
7	3						1	

ყველაზე მომხიბვლელები ბრიტანელი კაცები არიან

პოპულარული ინტერნეტ-პორტალი ყოველწლიურ გამოკითხვას ატარებს, რომლის დროსაც სუსტი სქესის წარმომადგენლები მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველ მამაკაცებს ასახელებენ. წლევანდელი გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ ყველაზე სექსუალურები და მომხიბვლელები ბრიტანელი მამაკაცები არიან. გამოკითხვაში მონაწილეობა 30741-მა მანდილოსანმა მიიღო. მათი აზრით, ძლიერი სქესი წარმომადგენლები ნისლიანი ალბიონიდან იმითაც არიან მომხიბვლელები, რომ აქტიურად მისდევენ სპორტს. მათ შემდეგ მანდილოსნების ყურადღების ცენტრში სამხრეთ ამერიკელები, კერძოდ კი, ტემპერამენტიანი ბრაზილიელები აღმოჩნდნენ. ლიდერთა სამეულში მოხვდნენ ასევე იტალიელებიც, რომლებიც სექსუალური კაცების რეიტინგში ყოველ წელს ლიდერობენ. ქალებს აპენინელები მხოლოდ მათი მომხიბლავი გარეგნობის გამო არ მოსწონთ, ამბობენ, რომ იტალიელი მამაკაცები მანდილოსანს ყურადღების გარეშე არ ტოვებენ და დაახლოებას ყველა ხერხით ცდილობენ. ამავე ვებ-საიტის გამოკითხვით, რომელშიც 14 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, ყველაზე სექსუალურ ქალებად კოლუმბიელები დაასახელეს. კიდევ ერთი გამოკითხვით კი, ყველაზე მწველი და ცეცხლოვანი მანდილოსნებიც იქვე, სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ კი, ბრაზილიაში ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებია, მსგავსი რეიტინგის ლიდერი სამბას ქვეყანაა. აქაურების გარუჯული ტანი და მოხდენილი შავი თმა გულგრილს ვერავის ტოვებს. ოფიციალური სტატისტიკით, ბრაზილიაში ყოველი მესამე გოგონა სამოდელო ბიზნესშია ჩართული ან სამბას ადგილობრივ სკოლაში ცეკვავს. ტელევიზიებში ახალი სერიალების გადაღებისთვის კასტინგი რამდენიმე თვე გრძელდება, რადგან სასურველი გოგონას არჩევა თავსატეხია — გრძელ რიგში თითქმის უნაკლო ტანისა და ლამაზი სახის მქონე ბრაზილიელი გოგონები დგანან და მათ შორის არჩევანის გაკეთება პროდიუსერებს ძალიან უჭირთ. გაისეირნეთ სანაპიროზე და გაოგნდებით, აქ იმდენ ლამაზ ქალს ნახავთ, — ამბობენ მამაკაცები.

იაპონელი სტუდენტები ურთიერთობას გაურბიან

ლანჩის დროს არასასურველი ურთიერთობისთვის თავის არიდების მიზნით, იაპონელმა სტუდენტებმა კიოტოსა და კობეს უმაღლესი სასწავლებლებიდან მოითხოვეს, კაფეში სასადილო მაგიდები სპეციალური — „ანტისოციალურით“ შეეცვალათ, რომელსაც შუაში 50-სანტიმეტრიანი ტიხარი აქვს. უამრავ ქვეყანაში არსებობს ტრადიცია, ლანჩის დროს ერთ მაგიდასთან შეიკრიბონ მეგობრები თუ თანამშრომლები. სწორედ ამას გაურბიან ახალგაზრდები ამომავალი მზის ქვეყნიდან. ისინი სწავლით ისე არიან დატვირთულები, რომ ზოგადი საუბრისთვის დროის დაკარგვა არ უღირთ, ამიტომაც სადილობისას ტიხრით ერთმანეთისგან გამოყოფილი ადგილები, ეგრეთ წოდებული bocchi seki, ანუ „მარტოსული ადგილები“ მათთვის მისწრებაა. bocchi seki საკმაოდ პოპულარულია იაპონელ სტუდენტებში და ის ქვეყნის რამდენიმე ქალაქის საუნივერსიტეტო კაფეებში უკვე მოქმედებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).